

საგანმანათლებლო ჟესტური ენის თარჯიმნის გზამკვლევი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო

2021



საქართველოს განათლებისა
და მეცნიერების სამინისტრო

გზამკლვევი მომზადდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის“ პროგრამის „ინკლუზიური განათლების განვითარების ხელშეწყობა პროფესიული განათლების საფეხურზე“ ქვეპროგრამის ფარგლებში.

გზამკვლევზე მუშაობდნენ:

ამირან ბატატუნაშვილი - ქართული ქესტური ენის ექსპერტი, საქართველოს ყრუთა კავშირის პრეზიდენტი.

თამარ ჯიქიძე - ქართული ქესტური ენის თარჯიმანი.

მაია წულაძე - „ინკლუზიური განათლების განვითარების ხელშეწყობა პროფესიული განათლების საფეხურზე“ ქვეპროგრამის კოორდინატორი.

წინამდებარე გზამკვლევით მომზადებულია პროფესიული განათლების სისტემაში მომუშავე ან მუშაობის მსურველი ქართული ქესტური ენის თარჯიმნებისთვის და მიზნად ისახავს საგანმანათლებლო გარემოში ყრუ და სმენადაქვეითებული პროფესიული სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის ქართული ქესტური ენის თარჯიმნის მაქსიმალურად ხარისხიანი მომსახურების უზრუნველყოფას.

გზამკვლევით მნიშვნელოვან რესურს წარმოადგენს როგორც თავად ქესტური ენის თარჯიმნებისთვის, ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციისა და სხვა პერსონალისთვის, რათა მაქსიმალურად ნათელი წარმოდგენა შეექმნათ საგანმანათლებლო გარემოში ქესტური ენის თარჯიმნის როლსა და ფუნქციებზე.

გარდა ამისა, წინამდებარე გზამკვლევით საინტერესო შეიძლება იყოს ზოგადი განათლების საფეხურზე მომუშავე როგორც ქესტური ენის თარჯიმნებისთვის, ასევე, სკოლებში დასაქმებული სხვა პერსონალისთვისაც.

გზამკვლევით აღწერილია საგანმანათლებლო თარჯიმნის საქმიანობა, მისი მოვალეობები და პასუხისმგებლობები, ასევე, მოცემულია საგანმანათლებლო გარემოში მომუშავე ქესტური ენის თარჯიმნის პროფესიული უნარ-ჩვევების გაძლიერების რეკომენდაციები.

სარჩევი

წინასიტყვაობა	3
შესავალი - ქესტური ენის თარჯიმნის საქმიანობის სფეროები	4
საგანმანათლებლო ქესტური ენის თარჯიმანი	8
საგანმანათლებლო ქესტური ენის თარჯიმნის მრავალფეროვანი ფუნქციები და მოვალეობები	13
საგანმანათლებლო გარემოში ქესტურენოვანი თარგმნის მნიშვნელოვანი ასპექტები	20
თარგმნის სახეები და მათი გამოყენება სასწავლო პროცესში	25
ქესტურენოვანი კომპეტენციები - ვიზუალური გრამატიკა, არტიკულაცია, დაქტილის გამოყენება	30
საგანმანათლებლო ქესტური ენის თარჯიმნის მუშაობის ორგანიზაციული საკითხები	34
გამოყენებული ლიტერატურა	37
დანართი N1 სარეფლექსიო საკითხები სასწავლო პროცესის ქესტურენოვანი თარგმნისთვის	38
დანართი N2 აქტივობები თარჯიმნის პროფესიული უნარ-ჩვევების გასავითარებლად	39

წინასიტყვაობა

განათლების სისტემაში დასაქმებულ ქვესტური ენის თარჯიმანს განსაკუთრებული მისია აკისრია, როგორცაა, მოსწავლის/სტუდენტის განათლებისა და განვითარების ხელშეწყობა. საგანმანათლებლო ქვესტური ენის თარჯიმანი წარმოადგენს ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის სპეციალისტების გუნდის მნიშვნელოვან წევრს და ქვესტური ენით მოსარგებლე ყრუ და სმენადაქვეითებული პირების განათლების ხარისხი, დიდწილად, სწორედ ქვესტური ენის თარჯიმნის მომსახურების ხარისხზეა დამოკიდებული.

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენცია (2006), რომელიც საქართველოში ძალაში 2014 წელს შევიდა, ხაზს უსვამს ყრუ ადამიანების უფლებას მიიღონ პროფესიული ქვესტური ენის თარჯიმნის მომსახურება. ამასთანავე, 2020 წლის 14 ივლისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების შესახებ“, თანახმად, სახელმწიფო აღიარებს ქართულ ქვესტურ ენას და ცნობს ქართულ ქვესტურ ენას, როგორც ადამიანთა შორის ურთიერთობის, ასევე ყრუ და სმენადაქვეითებული ადამიანებისათვის განათლების მიღების ერთ-ერთ საშუალებას და უზრუნველყოფს მისი გამოყენებისა და განვითარებისათვის აუცილებელი პირობების შექმნას. ამავე კანონში, ხაზგასმულია ქვესტური ენის თარჯიმნების პროფესიული გაძლიერების ვალდებულებაც.

სფეროში ჩატარებული არაერთი კვლევა, ყურადღებას სწორედ ქვესტური ენის თარჯიმნის სერვისის მნიშვნელოვან როლზე ამახვილებს ყრუ სტუდენტებისთვის საგანმანათლებლო სივრცეში კომუნიკაციისა და სასწავლო შინაარსის მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. კვლევების თანახმად, სასწავლო პროცესში საუკეთესო საკომუნიკაციო სიტუაციების განხილვისას, როგორც ყრუ სტუდენტები, ასევე, მასწავლებლების დიდი ნაწილი სწორედ ქვესტური ენის თარჯიმნის ცენტრალურ როლს ასახელებს. აღსანიშნავია, რომ ყრუ სტუდენტისა და თარჯიმნის სასწავლო ჯგუფში ყოფნა, სმენის მქონე ჯგუფელების მიერაც სწავლისთვის სასარგებლო ფაქტორად სახელდება. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ ყრუ სტუდენტის გამო, მასწავლებლებს უწევთ შეცვალონ/შეანელონ მეტყველების/ინფორმაციის გადაცემის ტემპი, რაც, როგორც აღმოჩნდა, სმენის მქონე სტუდენტებისთვისაც ზრდის სასწავლო შინაარსის მისაწვდომობას.

იმ ქვეყნებს, რომლებშიც ქვესტური ენის თარჯიმნის მომსახურება მაღალ დონეზეა განვითარებული (მაგ.: აშშ, ავსტრალია, დიდი ბრიტანეთ), შემუშავებული აქვთ უშუალოდ საგანმანათლებლო ქვესტური ენის თარჯიმნის პროფესიული სტანდარტი. აღნიშნული სტანდარტი განათლების სფეროში მომუშავე ქვესტური ენის თარჯიმნების პროფესიულ ვალდებულებებსა და ქცევის კოდექსს განსაზღვრავს.

საგანმანათლებლო გარემოში მომუშავე ქართული ენის თარჯიმნების პროფესიული გაძლიერება და თარჯიმნის მომსახურების გაუმჯობესება, საქართველოს განათლების სისტემის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს.

2013 წლიდან საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში ინკლუზიური განათლების დანერგვასთან ერთად, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ხელმისაწვდომი გახდა ქართული ენის თარჯიმნის მომსახურება. აღნიშნულმა ფაქტორმა, მნიშვნელოვნად გაზარდა ენის თარჯიმნის მოსარგებლე ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისთვის პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა. ენის თარჯიმნის მოსარგებლე პროფესიული სტუდენტების განათლების და პროფესიულ განათლებაში ჩართული ქართული ენის თარჯიმნების ხელშესაწყობად, 2015-2018 წლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს მეთოდოლოგიური მხარდაჭერითა და ყრუთა თემის აქტიური მონაწილეობით მომზადდა ქართული ენის თარჯიმნების ელექტრონული ლექსიკონი SignWik https://ge.signwiki.org/index.php/Main_Page. აღნიშნული ელექტრონული ლექსიკონი 15-ზე მეტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული ტერმინების შესაბამის ენებს მოიცავს.

2021 წლის მონაცემებით, მთელი საქართველოს მასშტაბით, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ქართული ენის თარჯიმნის 20-მდე თარჯიმანი დასაქმებული. პროფესიულ განათლებაში ჩართული ქართული ენის თარჯიმნების რიცხვი წლიდან-წლამდე იზრდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული ქართული ენის თარჯიმნის მოსარგებლე ყრუ და სმენადაქვეითებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობის ზრდასთან ერთად.

შესავალი - ქართული ენის თარჯიმნის საქმიანობის სფეროები

ვინ არის თარჯიმანი

„თარჯიმანი“ ლათინური წარმოშობის სიტყვაა და გულისხმობს ადამიანს, რომელიც კომუნიკაციაში ეხმარება მათ, ვისაც ერთმანეთის გაგება უჭირთ ენობრივი ბარიერის გამო. როდესაც ადამიანს არ შეუძლია სხვებთან კომუნიკაციის დამყარება მისთვის ჩვეული კომუნიკაციით და გზავნილის გადაცემა სხვისთვის გასაგებად, თარჯიმანი ადამიანის ცხოვრების განუყოფელი ნაწილი ხდება. მიუხედავად იმისა, რომ თარჯიმნობა დიდი ხანი არ არის რაც დამოუკიდებელ პროფესიად აღიარეს, თარჯიმნები სულ

არსებობდნენ მას შემდეგ, რაც სხვადასხვა ენებზე მოსაუბრე ადამიანებს უწევდათ კომუნიკაცია ვაჭრობის, პოლიტიკის, რელიგიისა და სხვა სფეროებში.

სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ადამიანებს შორის საუბრის თარგმნა არ წარმოადგენს ერთი ენიდან მეორეზე სიტყვების გადატანის მარტივ და მექანიკურ პროცესს. თარჯიმანი ამ ადამიანებს შორის სპონტანური ურთიერთობის მონაწილეა, ურთიერთობის მიზანი კი, ერთმანეთთან კომუნიკაციის დამყარების მცდელობაა. ერთი პიროვნების იდეების, გრძნობების, გამოცდილებებისა და განზრახვების ზუსტად გადაცემა, ისე, რომ განსხვავებული კულტურული და ლინგვისტური წარმომავლობის მქონე ადამიანმა ნათქვამიდან აზრი გამოიტანოს, დელიკატური და ხშირ შემთხვევაში, რთული ამოცანაა.

ზეპირად თარგმნას ხშირად აღწერენ როგორც ენებს, კულტურებსა და თემებს შორის შუამავლობის პროცესს. იმისგან დამოუკიდებლად, თუ რომელი ენები გამოიყენება, თარჯიმნები ეყრდნობიან საკუთარ ინტელექტს, სოციალურ ინსტინქტს, ფიზიკურ და ემოციურ გამძლეობასა და პროფესიული განჭვრეტის უნარს. ამ ყველაფრის კულტივირება პრაქტიკისა და გამოცდილების შედეგად მიიღწევა. გამოწვევები და ვარიაციები, რასაც თარჯიმნები აწყდებიან, მათ სამუშაოს დროდადრო სახალისოს, ზოგჯერ კი - არაკომფორტულს ან დამღლელს ხდის, თუმცა, საერთო ჯამში, გამოცდილებით ამდიდრებს.

ქესტურ ენასა და სალაპარაკო ენას შორის თარგმნა

ქესტურ ენაზე თარგმნის პროცესი სამეტყველო ენებს შორის თარგმნის პროცესის მსგავსია, თუმცა, ერთ ძირითად განსხვავებას მოდალობა წარმოადგენს, ანუ როგორ იწარმოება და აღიქმება ენა. სალაპარაკო ენები აუდიო-ვერბალური ენებია და სიტყვების წარმოებისას და გაგებისას ეყრდნობა მეტყველებასა და სმენას. ამიტომ, სამეტყველო ენის თარჯიმნები მუშაობენ აუდიო-ვერბალურ მოდალობაში. ქესტური ენის თარჯიმნები კი, როგორც წესი, სამეტყველო ენასა (აუდიო-ვერბალურს) და ქესტურ, ვიზუალურ ენას შორის მოძრაობენ. ამიტომ, ქესტურ ენაზე თარგმნა ბიმოდალური პროცესია, რაც უკავშირდება არაერთ უნიკალურ კოგნიტურ და ფიზიკურ მოთხოვნებს.

ყრუ ადამიანებისთვის სამეტყველო ენა (ზეპირი სახით) ყოველთვის მიუწვდომელი იქნება, რაც ნიშნავს, რომ პოტენციურად მათ მთელი ცხოვრების მანძილზე ურთიერთობა ექნებათ ქესტური ენის თარჯიმნებთან მრავალფეროვან კონტექსტებში; მაგალითად, განათლებისა და სამუშაო ადგილებზე, სამთავრობო კონსულტაციების დროს, ისეთი მნიშვნელოვანი ოჯახური და თემური ღონისძიებებისას (დაბადება, ქორწინება, დაკრძალვა), რომელშიც სმენის მქონე “გარეშე პირებიც” მონაწილეობენ.

ვინ შეიძლება გახდეს ქესტური ენის თარჯიმანი

ქესტური ენის თარჯიმნობისკენ მიმავალი გზები განსხვავებულია. ქესტური ენის თარჯიმნები ძირითადად ყრუ მშობლის/მშობლების შვილები ან ის ადამიანები არიან, რომელთაც ოჯახის რომელიმე წევრი ყრუ ჰყავთ. თუმცა, ზოგ შემთხვევაში, ქესტური ენის მიმართ და ქესტური ენის თარჯიმნად მუშაობის ინტერესი შესაძლოა სმენის მქონე იმ ადამიანებსაც გაუჩნდეთ, რომელთაც ოჯახის წევრი არ ჰყავთ ყრუ. ასევე, ქესტური ენის თარჯიმნად შეიძლება თავად ყრუ პირებმაც იმუშაონ, რომლებიც ეროვნულ და სხვადასხვა ქვეყნის ქესტურ ენას ფლობენ. ყრუ თარჯიმნებმა შესაძლოა ბაგეებიდან წამკითხველად და უხმო ჩანაწერების ფასილიტატორებადაც იმუშაონ.

ყრუ მომხმარებლის მრავალფეროვნება

სამუშაო კონტექსტები და კონკრეტული გამოწვევები, რომლებსაც ქესტური ენის თარჯიმნები აწყდებიან, იცვლება კომუნიკაციური არჩევანის, საგანმანათლებლო შესაძლებლობებისა და ადგილობრივი ყრუთა თემის ზოგადი დემოგრაფიული პროფილის მიხედვით.

რადგან ყრუ ადამიანების უმეტესობას ადრეულ ასაკშივე არ აქვს ქესტურ ენაზე წვდომა სახლის გარემოში, მათი ურთიერთობა და აქედან გამომდინარე, ქესტური ენის სრულყოფილი ფლობა, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ, როდის და სად შეხვდნენ პირველად ყრუ ადამიანებს. მაგალითად სპეციალური პროფილის სკოლები ყოველთვის ძალიან ნაყოფიერი გარემო იყო ქესტური ენის განვითარებისთვის. თუ ყრუ პირისთვის ქესტური ენა მისაწვდომი არ არის სახლისა და საგანმანათლებლო გარემოში, ის ვერ უფლება ქესტურ ენას მანამ, სანამ სკოლას არ დაასრულებს და არ დაიწყებს ყრუთა თემთან უფრო მჭიდრო ურთიერთობას.

ქესტური ენის თარჯიმნები და ყრუთა თემი

თარჯიმნებსა და ყრუთა თემის წევრებს შორის ურთიერთობას, სხვადასხვა მიზეზის გამო, იმაზე მეტი ასპექტი აქვს, ვიდრე მხოლოდ „სერვისის მიწოდების“ ინტერაქციაა:

- ინფორმაციის მოსაპოვებლად, ყრუ ადამიანები თარჯიმანზე არიან დამოკიდებულნი. სმენის მქონე ადამიანებს იშვიათად უწევთ ქესტურ ენაზე მთარგმნელთან ურთიერთობა, მაშინ როცა, ქესტური ენის თარჯიმანი შეიძლება ყრუ ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების და უფრო ფართო სოციალური წრის ჩვეულებრივი ნაწილი იყოს. აქედან გამომდინარე, ყრუ ადამიანებმა უფრო მეტი იციან თარჯიმნებისა და მათი დახმარებით კომუნიკაციის დამყარების შესახებ, ვიდრე სმენის მქონე მომხმარებელმა.
- ყრუ ადამიანებს სჭირდებათ თარჯიმანი სმენის მქონე იმ ადამიანებთან კომუნიკაციისთვის, რომლებიც ქესტურ ენას არ ფლობენ, ხოლო თარჯიმანს სჭირდება ყრუთა საზოგადოება, უპირველეს ყოვლისა იმისთვის, რომ შეიძინოს ლინგვისტური და კულტურული ცოდნა, რომელიც მის პროფესიულ უნარებს უდევს

საფუძვლად და საზოგადოებაში პროფესიული სტატუსის შენარჩუნებისთვის არის აუცილებელი.

- ➔ ყრუ ადამიანისთვის კარგი განათლების მიღების სირთულე მეორე, უმრავლესობის ენაზე (განსაკუთრებით წერა-კითხვის ათვისების სირთულე), ნიშნავს, რომ ისინი ხშირად სოციალურად და ფინანსურად არასახარბიელო მდგომარეობაში არიან და თარჯიმანზე არიან დამოკიდებულნი სხვადასხვა ტიპის ყოველდღიური ინფორმაციის მოსაპოვებლად.

ქესტური ენის თარჯიმნის მუშაობის სფეროები

ქესტური ენების თარჯიმნებს სხვადასხვა გარემოში და ადამიანთა საკმაოდ მრავალფეროვან ჯგუფებთან უწევთ მუშაობა. ქესტური ენის თარჯიმნების სამუშაო არეალი შესაძლებელია რამდენიმე მსხვილ სფეროდ დაიყოს, რომლებიც თავისთავში კიდევ მრავალ მიმართულებას მოიცავს. მაგალითად, **საზოგადოებრივი თარჯიმნის საქმიანობა უკავშირდება** სამედიცინო, სამართლებრივ, საბანკო, საოფისე, კულტურულ, რელიგიურ და იმ სხვა სფეროებს, რომლებთანაც ადამიანს შეხება ყოველდღიურად უწევთ. ქესტური ენის თარჯიმანი ასევე **ვიდეო გადაცემის მომსახურებაში** (VRS – Video Relay Services) შეიძლება იყოს ჩართული, რაც დისტანციური კომუნიკაციის დამყარებას უზრუნველყოფს ადამიანებს შორის. ასეთ დროს, ყრუ ადამიანი ე.წ. ვიდეო ტელეფონის გამოყენებით უკავშირდება სხვა პირს სხვადასხვა მიზეზით, როგორცაა: გადაუდებელი დახმარება საგანგებო სიტუაციები (პოლიცია, ხანძარი, სასწრაფო სამედიცინო დახმარება), სამუშაო ან სხვა საკითხის შესახებ ინფორმაციის მიღება და სხვა. ქესტური ენის თარჯიმნების ერთ-ერთ სპეციფიკურ მომსახურებას, ყრუ-უსინათლო პირების თარჯიმან-მეგზურობა წარმოადგენს. ქესტური ენის თარჯიმნები ასევე **საერთაშორისო ქესტების ინტერპრეტატორადაც** შეიძლება მუშაობდნენ, რაც საერთაშორისო დონეზე ყრუ ადამიანების ჩართულობას უზრუნველყოფს.

ყრუ ადამიანების მხარდაჭერის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სფეროს, რომელშიც ქესტური ენის თარჯიმანი მუშაობს, **საგანმანათლებლო სფერო წარმოადგენს**. ამ სფეროში შედის სკოლამდელი აღზრდის, ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები.

საგანმანათლებლო დაწესებულებებში მომუშავე თარჯიმნების მუშაობის სპეციფიკა, მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა სფეროებში მომუშავე თარჯიმნების საქმიანობისგან და თარჯიმნის სხვა ძირითად უნარებთან ერთად, სპეციალიზებულ უნარ-ჩვევებს და ექსპერტიზას მოითხოვს. სასწავლო დაწესებულებებში, სადაც ყრუ ბავშვები, მოზარდები და ზრდასრულები სწავლობენ, პედაგოგები და აღმზრდელები, ყოველთვის არ ფლობენ ქესტურ ენას (განსაკუთრებით არა სპეციალიზებულ საგანმანათლებლო

დაწესებულებებში), შესაბამისად, ყრუ ადამიანის საგანმანათლებლო პროცესი, მთლიანად ქესტური ენის თარჯიმანზე ხდება დამოკიდებული და სწორედ ქესტური ენის თარჯიმნის შუამავლობით ხორციელდება.

საგანმანათლებლო ქესტური ენის თარჯიმანი

ყრუ და სმენადაქვეითებული სტუდენტების კომუნიკაცია საგანმანათლებლო სივრცეში

საგანმანათლებლო პროცესი მნიშვნელოვნად ეფუძნება ეფექტურ კომუნიკაციას სტუდენტსა და მასწავლებელს და ჯგუფის სხვა წევრებს შორის. სტუდენტი წარმოადგენს არამარტო ინფორმაციის მიმღებს, არამედ თავადაც გასცემს ინფორმაციას - პასუხობს და სვამს კითხვებს, გამოხატავს საკუთარ მოსაზრებებს, და ა.შ., გარდა ამისა, სტუდენტი სასწავლო პროცესში ინფორმაციას იღებს არა მარტო მასწავლებლისგან, არამედ სხვა სტუდენტებისგანაც. ამრიგად, სტუდენტს უწევს მიჰყვეს სასწავლო პროცესში მიმდინარე დისკუსიებს, მოუსმინოს სხვა სტუდენტთა პასუხებს, მათზე მასწავლებლის უკუკავშირს. აღნიშნულ პროცესში სტუდენტი ძალიან ღირებულ ინფორმაციას იღებს, ამოწმებს საკუთარ მოსაზრებებს და სწავლობს არამარტო მასწავლებლისგან მისთვის, არამედ, სხვა სტუდენტებისთვისაც მიცემული უკუკავშირით.

იმისათვის, რომ ყრუ და სმენადაქვეითებული სტუდენტებისთვის საგანმანათლებლო გარემოში მისაწვდომი იყოს სასწავლო ინფორმაცია და კომუნიკაცია, ხშირად, კომუნიკაციური შუამავლის - ქესტური ენის თარჯიმნის მხარდაჭერას საჭიროებენ. თავისთავად, ის ფაქტი, რომ კომუნიკაცია სტუდენტს, მასწავლებელსა და სხვა სტუდენტებს შორის გაშუალებულია თარჯიმნის მიერ, უკვე გარკვეულ გამოწვევებს ქმნის ყრუ და სმენადაქვეითებული სტუდენტისთვის:

- ➔ დროში ჩამორჩენა - სანამ ყრუ და სმენადაქვეითებული სტუდენტი ქესტურ ენაზე ინტერპრეტირებულ/ნათარგმნ ინფორმაციას მიიღებს, შესაძლოა, მასწავლებელი და ჯგუფის სხვა წევრები უკვე სხვა საკითხზე იყვნენ გადასული.
- ➔ რამდენიმე მოქმედებისთვის თვალის პარალელურად მიღვენება - მასწავლებლისთვის, მისი პრეზენტაციისა თუ მოქმედებებისთვის თვალის მიღვენება ქესტური ენის თარჯიმნის ყურების პარალელურად, რომლისგანაც მანამდე ან იმ მომენტში გაქდერებული ინფორმაცია უნდა მიიღოს.
- ➔ ჯგუფურ დისკუსიებში მონაწილეობა - სხვა სტუდენტებსა და მასწავლებელს შორის კომუნიკაციაზე თვალის სწრაფად მიღვენება და ყურადღების გადატანა როგორც მოსაუბრეებზე, ასევე თარჯიმანზე და ამასთანავე, მიმდინარე საკითხზე საკუთარი მოსაზრების გამოთქმა, სანამ თემა შეიცვლება.

ამრიგად, ყრუ და სმენადაქვეითებული სტუდენტების სასწავლო პროცესი განსაკუთრებულ დაგეგმვას და მართვას მოითხოვს მასწავლებლისა და ქესტური ენის თარჯიმნის მიერ, რათა კომუნიკაცია და სასწავლო პროცესში ყველა გაქვეითებული ინფორმაცია მაქსიმალურად ხელმისაწვდომი იყოს ყრუ და სმენადაქვეითებული სტუდენტისთვის.

საგანმანათლებლო თარჯიმნის როლი

ქესტური ენის თარჯიმნის ფუნდამენტური როლი, განურჩევლად სპეციალობისა და სამუშაო ადგილისა, არის ყრუ/სმენადაქვეითებულ და სმენის მქონე პირებს შორის კომუნიკაციის ხელშეწყობა მაქსიმალურად ეფექტურად და მიუკერძოებლად. საგანმანათლებლო გარემოში, აღნიშნული ხელშეწყობა მოიცავს ყრუ ან სმენადაქვეითებულ სტუდენტსა და მასწავლებლებს, ადმინისტრაციას, დაწესებულების სხვა თანამშრომლებს/სპეციალისტებს, მშობლებს და თანატოლებს შორის კომუნიკაციის ხელშეწყობას.

ქართული ქესტური ენის საგანმანათლებლო თარჯიმანი მუშაობს ქართულ ქესტურ ენასა და ქართულ ენას შორის (სალაპარაკო და დამწერლობა), იღებს შეტყობინებას ერთ ენაზე და გადასცემს მას მეორე ენაზე. როგორც წესი, საგანმანათლებლო თარჯიმანს თარგმნილი/ინტერპრეტირებული შეტყობინების გაგზავნა პირველ ენაზე შეტყობინების მიღებიდან ძალიან მოკლე პერიოდში უწევს (სასწავლო პროცესში არსებული დროითი შეზღუდვის გამო). აღნიშნული მოითხოვს ლინგვისტური, შემეცნებითი და ტექნიკური უნარების მაღალ ხარისხს.

საგანმანათლებლო თარჯიმანი წარმოადგენს კომუნიკაციურ შუამავალს ყრუ და სმენადაქვეითებულ სტუდენტებს და საგანმანათლებლო გარემოს სმენის მქონე სხვა წევრებს შორის. საგანმანათლებლო თარჯიმანს განსაკუთრებული მისია აკისრია, რაც არამარტო ყრუ სტუდენტისთვის სხვადასხვა სიტუციაში თარგმნას, არამედ განვითარებისა და განათლების ხელშეწყობასაც გულისხმობს. ამრიგად, სტუდენტის საგანმანათლებლო წარმატება, მნიშვნელოვნად სწორედ თარჯიმნის მომსახურების ხარისხზეა დამოკიდებული.

ზოგადად, საგანმანათლებლო თარჯიმნის მუშაობის კონტექსტი და მოვალეობები მნიშვნელოვნად განსხვავდება, იმ მოვალეობებისგან, რომელიც ქესტური ენის თარჯიმანს სხვა საზოგადოებრივ კონტექსტში აქვს. საგანმანათლებლო თარჯიმანს დამატებითი ვალდებულებები და პასუხისმგებლობები აკისრია. ის აუცილებლად წარმოადგენს საგანმანათლებლო გუნდის წევრს. როგორც მომსახურების მიმწოდებელს, საგანმანათლებლო თარჯიმანს აქვს პასუხისმგებლობა, ხელი შეუწყოს სტუდენტის განათლებას და უზრუნველყოს სტუდენტისთვის ზოგად სასწავლო გეგმასა

და საგანმანათლებლო პროცესზემისაწვდომლობა. ეს სამართლებრივი პასუხისმგებლობები განსაზღვრავს პრაქტიკის ძალიან განსხვავებულ სფეროს საგანმანათლებლო თარჯიმნისთვის, ვიდრე სხვა საზოგადოებრივი კონტექსტის თარჯიმნის შემთხვევაშია. საგანმანათლებლო თარჯიმნის პასუხისმგებლობას წარმოადგენს იმის უზრუნველყოფა, რომ ყრუ სტუდენტებს შეეძლოთ სრულად მიიღონ მონაწილეობა საგანმანათლებლო გარემოში/პროცესში და განათლების მიმწოდებელს შეეძლოს ზუსტად და სამართლიანად შეაფასონ სტუდენტის სასწავლო საქმიანობა და სწავლის შედეგები.

საგანმანათლებლო გუნდთან ერთად, საგანმანათლებლო თარჯიმნები ხელს უწყობენ ინკლუზიური გარემოსა და კულტურის შექმნას და შენარჩუნებას. ამ მიზნის მისაღწევად, თარჯიმნები:

- პროფესიული განათლების მასწავლებელთან და სხვა დამხმარე სპეციალისტებთან ერთად მუშაობენ სასწავლო პროცესის/სასწავლო აქტივობების ადაპტირებაზე, რათა ხელი შეუწყოს ყრუ/სმენადაქვეითებული სტუდენტების მაქსიმალურ ჩართულობასა და მონაწილეობას;
- იყენებენ სოციალური ინტერაქციის სტრატეგიებს და ყრუ/სმენადაქვეითებულ სტუდენტთან კომუნიკაციის მოდელირებას, რათა ხელი შეუწყოს ადამიანებს შორის ურთიერთობას, მიუხედავად იმისა, იყენებენ თუ არა ისინი ჟესტურ ენას.

საგანმანათლებლო თარჯიმნის როლი საკმაოდ მრავალფეროვანია და მოიცავს კლასში/სასწავლო ჯგუფში მუშაობას, სტუმრების პრეზენტაციების, შეხვედრების, დაწესებულების მიერ ორგანიზებული სხვა შიდა თუ გასვლითი ღონისძიებების დროს თარგმანს. ასევე, საგანმანათლებლო ჟესტური ენის თარჯიმანი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლების კონსულტირებას ჟესტური ენით მოსარგებლე სტუდენტთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე. კონკრეტული გარემოს მიხედვით, საგანმანათლებლო თარჯიმანს სტუდენტისთვის უშუალოდ თარგმნის გარდა, შეიძლება ასევე მოეთხოვებოდეს:


- ⇒ იყოს ყრუ სტუდენტის ენობრივი (ჟესტური ენის) მოდელი და გააძლიეროს სტუდენტის ჟესტურენოვანი უნარები;
- ⇒ ითანამშრომლოს მასწავლებელთან და სხვა სპეციალისტებთან, რათა ხელი შეუწყოს ყრუ სტუდენტის ჩართულობას;
- ⇒ მოახდინოს საკლასო ენის ადაპტირება ყრუ სტუდენტების საჭიროებების შესაბამისად;
- ⇒ დახმარება გაუწიოს ყრუ/სმენადაქვეითებულ სტუდენტს ჩანაწერების შედგენაში ან/და სწავლაში (მასალის გაგება/დაძლევაში);

⇒ ასწავლოს საკომუნიკაციო ჟესტური ენა დაწესებულების თანამშრომლებს და/ან სხვა სტუდენტებს, რათა ხელი შეუწყოს ყრუ სტუდენტსა და დაწესებულების სმენის მქონე თემს შორის პირდაპირ ინტერაქციას.

საგანმანათლებლო თარჯიმანს შესაძლოა მოუწიოს თარგმნა შემდეგ სიტუაციებში:

- ⇒ სასწავლო პროცესი;
- ⇒ საველე გასვლები, პრაქტიკის ადგილი;
- ⇒ ისგ შეხვედრები (მაშინაც კი, თუ თავად არ არის ისგ-ს წევრი);
- ⇒ მშობლების/ოჯახის წევრების, მასწავლებლებისა და დაწესებულების სხვა სპეციალისტების ერთობლივი შეხვედრები;
- ⇒ სტუდენტისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლების შეხვედრები;
- ⇒ სასწავლო პროცესის მიღმა ღონისძიებები (ექსტრაკურიკულური აქტივობები).
- ⇒ სტუდენტისთვის განსაზღვრული ინდივიდუალური ტიპის საგანმანათლებლო თუ თერაპიული აქტივობები;

ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ თარჯიმანი მოქმედებდეს როგორც ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო, ასევე კონკრეტულ საგანმანათლებლო გარემოში შემუშავებული შიდა რეგულაციების და პროფესიული კოდექსის კონტექსტში. ქვემოთ თვალსაჩინოების სახით წარმოდგენილია თუ ვისთან უწევს ურთიერთობა საგანმანათლებლო თარჯიმანს, როგორც განათლებასთან დაკავშირებული მომსახურების გამწვევს და საგანმანათლებლო გუნდის წევრს.



საგანმანათლებლო ჟესტური ენის თარჯიმნის კომპეტენციები

იმისათვის, რომ საგანმანათლებლო თარჯიმანმა სათანადო ხარისხით შეასრულოს მასზე დაკისრებული ფუნქციები, ის უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ბაზისურ მოთხოვნებს (კომპეტენციებს):

- ➔ სრულფასოვნად ფლობდეს როგორც ჟესტურ, ასევე, უმრავლესობის (ქართულ) სალაპარაკო (და წერილობით) ენას;
- ➔ ფლობდეს ორ ენას შორის თარჯიმნის უნარ-ჩვევებს;
- ➔ კარგად ესმოდეს ყრუთა კულტურა და ავლენდეს ყრუთა კულტურის მიმართ პატივისცემას (მათ შორის იცოდეს ყრუთა განათლების ისტორია);
- ➔ ჰქონდეს ცოდნა ადამიანის და ენის განვითარების სტადიების/ეტაპების შესახებ;
- ➔ ჰქონდეს ცოდნა ყრუ და სმენადაქვეითებულ პირებში ენის განვითარების თავისებურებების/სპეციფიკის შესახებ;
- ➔ შეეძლოს კონკრეტული სტუდენტისთვის ხელმისაწვდომი ჟესტური ენის გამოყენება/ენის მორგება სტუდენტის ენობრივ და სხვა უნარებზე. ასევე, სტუდენტის მიერ გამოყენებული ჟესტური ენის გაგება;
- ➔ წარმოადგენდეს ენობრივ როლურ მოდელს ყრუ სტუდენტისთვის;
- ➔ იცოდეს თარჯიმნით გაშუალებულ სწავლასთან დაკავშირებული გამოწვევები და იყენებდეს სტრატეგიებს აღნიშნული გამოწვევების მინიმუმამდე დასაყვანად;
- ➔ ჰქონდეს ცოდნა კონკრეტული საგნების, სპეციფიკური აკადემიური შინაარსის/ტერმინოლოგიის შესახებ, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფს თარჯიმნას;
- ➔ ჰქონდეს გუნდურობის განცდა და აქტიურად თანამშრომლობდეს საგანმანათლებლო დაწესებულების სხვა წევრებთან;
- ➔ იცავდეს პროფესიული ეთიკის საზღვრებს;

ყრუ თარჯიმანი

სმენის მქონე ჟესტური ენის თარჯიმანთან ერთად, საგანმანათლებლო გარემოში შესაძლოა ყრუ თარჯიმანიც იყოს ჩართული. ყრუ თარჯიმანი არის სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს ინტერპრეტაციას/თარჯიმნას და ტრანსლიტერაციას ჟესტურ ენაზე. როგორც ყრუ ადამიანს, ყრუ თარჯიმანს აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული ენობრივი, კულტურული და პირადი ცხოვრებისეული გამოცდილება, რაც შესაძლებლობას აძლევს სათანადოდ გაიაზროს ვიზუალური ენისა (ჟესტური ენის) და კომუნიკაციის ფართო სპექტრის ნიუანსები და ყრუ პირებთან ინტერაქციის თავისებურება. აღნიშნული გამოცდილება პროფესიულ მომზადებასთან ერთად, ყრუ თარჯიმანს შესაძლებლობას აძლევს წარმატებით თარჯიმნოს/ინტერპრეტაცია მოახდინოს ყველა სახის ინტერაქტიულ კონტექსტში. ინტერპრეტატორების

განათლების ეროვნული ცენტრის (National Interpreter Education Center, (NIEC) კვლევებმა აჩვენა, რომ ბევრ სიტუაციაში ყრუ თარჯიმნის გამოყენება შესაძლებელს ხდის ყრუ და სმენის მქონე პირებს შორის ენობრივ და კულტურულ დაკავშირებას, რაც ხშირად, შეუძლებელია სმენის მქონე ქვესტური ენის თარჯიმნების მართო მუშაობისას. ზოგადად, ყრუ თარჯიმნები ყველაზე ხშირად სმენის მქონე თარჯიმნებთან ერთად მუშაობენ.

ყრუ-სმენის მქონე თარჯიმნების წყვილი უზრუნველყოფს, რომ სალაპარაკო ენის შეტყობინებამ ყრუ მომხმარებელთან მიაღწიოს მისთვის გასაგებ ენაზე და მისთვის ყველაზე მისაწვდომი საკომუნიკაციო ფორმით და რომ ყრუ მომხმარებელთა გზავნილი წარმატებით იყოს გადმოცემული სალაპარაკო ენაზე. ყრუ თარჯიმნის ჩართვა საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებით ღირებულია შედარებით მცირე ასაკის მოსწავლეებთან და იმ სტუდენტებთან, რომელთაც შესაბამისად არ აქვთ შეძენილი ქვესტურენოვანი ცოდნა, რათა ყრუ თარჯიმნის სახით ჰყავდეთ ენობრივი როლური მოდელი და განათლების მიღებასთან ერთად, შეძლონ ქვესტური ენის დაუფლება.

საგანმანათლებლო ქვესტური ენის თარჯიმნის მრავალფეროვანი ფუნქციები და მოვალეობები

როგორც აღინიშნა, საგანმანათლებლო თარჯიმანს აქვს მრავალმხრივი ურთიერთობა საგანმანათლებლო გარემოს და მასთან დაკავშირებულ თითოეულ წევრთან და ამასთანავე, საკმაოდ მრავალფეროვანი ვალდებულებები გააჩნია, რომლებიც დოკუმენტის მოცემულ ნაწილში სათითაოდ არის განხილული.


კონკრეტული სტუდენტის თარჯიმანი

საგანმანათლებლო თარჯიმანი კონკრეტულ სტუდენტს უწევს თარგმნით მომსახურებას როგორც სასწავლო პროცესის, ასევე, საგანმანათლებლო დაწესებულებაში განხორციელებული სხვა ღონისძიებების დროს. საგანმანათლებლო თარჯიმანს ასევე აქვს პასუხისმგებლობა, მაქსიმალურად გაზარდოს სტუდენტის სწავლის შესაძლებლობაც. საჭიროების შემთხვევაში, მან უნდა მოარგოს თარგმნა კონკრეტული სტუდენტის განვითარების ინდივიდუალურ დონეს და ენობრივ შესაძლებლობებს. საგანმანათლებლო თარჯიმნის პასუხისმგებლობაა ხელი შეუწყოს ყრუ/სმენადაქვეითებული სტუდენტის კომუნიკაციას არამართო სასწავლო პროცესში, არამედ სასწავლო პროცესის მიღმა, კლასგარეშე (ექსტრაკურიკულური) აქტივობების დროსაც და საგანმანათლებლო გარემოს სხვადასხვა წევრთან - სხვა სპეციალისტები, თანატოლები, ადმინისტრაცია და სხვა.

საგანმანათლებლო თარჯიმანი, როგორც ყრუ/სმენადაქვეითებული სტუდენტის განვითარების ხელშემწყობი

საგანმანათლებლო თარჯიმანი აერთიანებს ორ ძირითად პროფესიულ სფეროს. პირველი, საგანმანათლებლო თარჯიმანი არის თარჯიმანი, რაც თავისთავად საკმაოდ რთული პროფესიაა და მეორე, საგანმანათლებლო თარჯიმანი არის განვითარების სპეციალისტი, რაც ასევე არანაკლებ რთულია. ნებისმიერ ზრდასრულს, რომელიც მუშაობს საგანმანათლებლო გარემოში, აქვს ვალდებულება ხელი შეუწყოს მოსწავლის/სტუდენტის სოციალურ და ემოციურ ზრდას, თვითშეფასების განვითარებას და არა მხოლოდ აკადემიური ცოდნის მიღებას. როგორც განვითარების სპეციალისტი, საგანმანათლებლო თარჯიმანი მუშაობს მოსწავლის/სტუდენტის მრავალმხრივი განვითარების ხელშემწყობაზე.

თარჯიმანს შეუძლია დასახოს მიზნები ყრუ/სმენადაქვეითებული სტუდენტისთვის, რომელიც ეხება სტუდენტის მიერ საკუთარი, როგორც თარჯიმნის მომსახურების მიმღების უფლებების გაცნობიერებას, დაეხმაროს სტუდენტს თარჯიმნის როლის და მოვალეობების გააზრებასა და თარჯიმნის მომსახურების მართვის უნარების დაუფლებაში. საგანმანათლებლო ქესტური ენის თარჯიმანმა უნდა გაზარდოს და გააძლიეროს სტუდენტის დამოუკიდებლობა თარჯიმნის გამოყენების კუთხით. საგანმანათლებლო ქესტური ენის თარჯიმნები ვალდებულნი არიან ხელი შეუწყონ მოსწავლის/სტუდენტის განვითარებას მრავალ სფეროში, მათ შორის აკადემიურ და ენობრივ, სოციალურ, ემოციურ, და შემეცნებითს. განვითარების ხელშემწყობა მოითხოვს გააზრებულ პრაქტიკას, რომელიც დაეხმარება თარჯიმანს გადაწყვიტოს თუ რა ეხმარება ან პირიქით, რა აფერხებს სტუდენტის ჩართულობასა და წინსვლას.



ამრიგად, საგანმანათლებლო ქესტური ენის თარჯიმანი არ უნდა დაელოდოს, თუ როდის განვითარდება თავისთავად სტუდენტის ესა თუ ის უნარი, არამედ, სამიზნე უნარების განვითარების სტიმულირება თავად უნდა მოახდინოს. თარჯიმანს შეუძლია ხელი შეუწყოს ყრუ/სმენადაქვეითებულ სტუდენტს სასწავლო ჯგუფის/საგანმანათლებლო გარემოს სრულფასოვან წევრად იგრძნოს თავი. ყრუ/სმენადაქვეითებული

სტუდენტებისთვის სასარგებლოა ასევე ნახონ, თუ როგორ ეხმარება თარჯიმანი სხვა სტუდენტებს მაშინ, როდესაც თავად თარჯიმნის დახმარება არ სჭირდებათ. საგანმანათლებლო დაწესებულების ყველა ზრდასრულს აქვს ბავშვებთან და ახალგაზრდებთან მუშაობის ვალდებულებები. ყველა პროფესიონალი ხელს უწყობს განვითარებას და განათლებას საგანმანათლებლო დაწესებულების საზოგადოების ყველა წევრში და არა მხოლოდ მათ უშუალო სამიზნე ჯგუფებში. მასწავლებლებმა და განათლებაში ჩართულმა სხვა სპეციალისტებმა ყოველთვის უნდა მიიღონ გადაწყვეტილებები განვითარების კონტექსტში. ზუსტად ასევე, ქესტური ენის თარჯიმნის გადაწყვეტილებების კონტექსტიც მოიცავს განვითარების მრავალ ასპექტს.

თარჯიმანი, როგორც ენობრივი მოდელი

სმენის მეორე უმრავლესობისგან განსხვავებით, ყრუ და სმენადაქვეითებულ ბავშვებს/ზრდასრულებს, ზოგჯერ ქესტურენოვან მოდელთან ურთიერთობის და ქესტური ენის ადრეული ასაკიდან ათვისების მწირი შესაძლებლობა და გამოცდილება ეძლევათ საგანმანათლებლო გარემოში (სკოლა, პროფესიული განათლება) მოხვედრამდე; შესაბამისად, საგანმანათლებლო ქესტური ენის თარჯიმანი შესაძლოა მათთვის იქცეს ყველაზე ძლიერ ან ზოგ შემთხვევაში, ერთადერთ რეალურ ენის მოდელად.

თარჯიმანი, როგორც საგანმანათლებლო თემისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) გუნდის წევრი

საგანმანათლებლო თარჯიმანი არის საგანმანათლებლო დაწესებულების თემის, საზოგადოების წევრი. საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალი იზიარებს ბევრ პასუხისმგებლობას, რაც საგანმანათლებლო პროგრამის მართვას უკავშირდება. საგანმანათლებლო ქესტური ენის თარჯიმნებმა თავადაც უნდა შეუწყონ ხელი აღნიშნული თემის კეთილდღეობას. ისინიც უნდა იცავდნენ ამ საგანმანათლებლო საზოგადოებაში არსებულ საერთო პროფესიულ წესებს.

საგანმანათლებლო ქესტური ენის თარჯიმანი არის მომსახურების მიმწოდებელი, რომელიც ითვლება ისგ გუნდის წევრად. თარჯიმანს აქვს პასუხისმგებლობა, იცნობდეს სტუდენტის ძლიერ მხარეებსა და საჭიროებებს და დაეხმაროს სხვა სპეციალისტებს სტუდენტის ისგ-ს შედგენასა და განხორციელებაში. მას აქვს პასუხისმგებლობა იმუშაოს როგორც ისგ გუნდის წევრმა, მიიღოს ინფორმაცია გუნდის სხვა წევრებისგან და იმავდროულად, თავადაც ინფორმირებული ჰყავდეს გუნდის სხვა წევრები. ყველა გადაწყვეტილება სტუდენტის განათლებასთან დაკავშირებით, უნდა იქნას მიღებული ერთობლივად, გუნდის მიერ.

- ✓ საგანმანათლებლო ქესტური ენის თარჯიმანი ისევე პასუხისმგებელია სტუდენტის პროგრესზე, როგორც საგანმანათლებლო გუნდის სხვა წევრები;
- ✓ საგანმანათლებლო ქესტური ენის თარჯიმანს შეუძლია მიაწოდოს ინფორმაცია და მისცეს რჩევა საგანმანათლებლო გუნდს;
- ✓ საგანმანათლებლო ქესტური ენის თარჯიმანს უნდა ესმოდეს საგანმანათლებლო გარემოს, სასწავლო პროცესის როლი სტუდენტის პიროვნულ განვითარებაში.

ქესტური ენის თარჯიმნები უნდა მონაწილეობდნენ ისგ-ის ყველა შეხვედრაში, რომლებიც იმ სტუდენტებთან დაკავშირებით ტარდება, ვისთანაც მუშაობენ. აღსანიშნავია, რომ ისგ შეხვედრებში ქესტური ენის თარჯიმნის მონაწილეობა ორი ტიპის შეიძლება იყოს: 1. საგანმანათლებლო თარჯიმანი ან თარგმნის შეხვედრას ან 2. მონაწილეობს მასში, როგორც გუნდის წევრი. მნიშვნელოვანია, რომ ერთი შეხვედრის ფარგლებში თარჯიმანმა ორივე ფუნქცია ერთად არ შეასრულოს. ისგ-ს შეხვედრებში ქესტური ენის თარჯიმნებს მნიშვნელოვანი წვლილის შეიტანა შეუძლიათ. მათ შეუძლიათ ინფორმაცია მიაწოდონ საგანმანათლებლო გუნდის სხვა წევრებს იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობს სტუდენტი თარჯიმანთან ერთად, რა კომუნიკაციურ თუ სხვა საჭიროებებს აქვს ადგილი და როგორ შეიძლება მათზე რეაგირება და სხვა. აქვე გასათვალისწინებელია, რომ საგანმანათლებლო თარჯიმნებს, როგორც წესი, არ აქვთ სპეციალიზებული მომზადება ენისა და კომუნიკაციის შეფასებაში, ამიტომ, მათ უნდა იმუშაონ სხვა პროფესიონალებთან ერთად, რომლებიც კვალიფიცირებულნი არიან შეფასების ჩატარებაში. ამის მიუხედავად, საგანმანათლებლო თარჯიმანს ხშირად შეუძლია გაუზიაროს ისგ გუნდს სასარგებლო დაკვირვებები სტუდენტის სხვადასხვა შესაძლებლობის შესახებ. ზოგადად, როგორც საგანმანათლებლო ჯგუფის წევრი, ქესტური ენის თარჯიმანს შეუძლია მიაწოდოს სხვებს ინფორმაცია თარგმნის, საკლასო ურთიერთობის და სწავლა-სწავლების შესახებ.

საკითხები, რომლებზეც თარჯიმანს შეუძლია საგანმანათლებლო გუნდისთვის ინფორმაციის მიწოდება, შეიძლება იყოს:

- ⇒ როგორ ურთიერთობს, როგორ ამყარებს კომუნიკაციას ყრუ/სმენადაქვეითებული სტუდენტი მასწავლებელთან, დაწესებულების სხვა პერსონალთან და თანატოლებთან?
- ⇒ როგორია თარჯიმნის დაკვირვება, რომელ ენას და კომუნიკაციის რომელ მოდალობას ანიჭებს სტუდენტი უპირატესობას?
- ⇒ რამდენად კარგად იყენებს ყრუ/სმენადაქვეითებული სტუდენტი საგანმანათლებლო თარჯიმნის დახმარებას?

- ⇒ რა უშლის ხელს თარგმნის შესაძლებლობას სასწავლო სივრცეში? არის თუ არა სასწავლო პროცესში მართვის ისეთი ასპექტები და ურთიერთობები, რომლებიც ხელს უწყობს ან პირიქით, ხელს უშლის სწავლას?
- ⇒ რა ტიპის ცვლილებებს ახდენს თარჯიმანი რეგულარულად მასწავლებლის გზავნილში? იღებს თუ არა თარჯიმანი გადაწყვეტილებას მასწავლებლის ენისა და ცნებების გასამარტივებლად და რა მიზეზების გამო? იყენებს თუ არა შესაბამის დაქტილს, თუ იყენებს მხოლოდ ჟესტებს იმ რწმენით, რომ სტუდენტი ვერ გაიგებს დაქტილს?

ჟესტური ენის თარჯიმანს კარგად უნდა ჰქონდეს გააზრებული იმ სტუდენტის საგანმანათლებლო მიზნები, რომელთანაც მუშაობს. მიუხედავად იმისა, რომ თარჯიმანი არ არის მასწავლებელი, სასწავლო მიზნებისა და ყოველდღიური ამოცანების გაგება დაეხმარება მას სამუშაოს უკეთ განხორციელებაში. ამრიგად, თარჯიმანი მზად უნდა იყოს საგანმანათლებლო მიზნების მხარდაჭერისა და განხორციელებისათვის.

საგანმანათლებლო ჟესტური ენის თარჯიმანი ასევე მონაწილეობს სტუდენტის ტესტირებაშიც. სტანდარტიზებული ტესტირება არის სტუდენტის მიღწევების შეფასების კრიტიკული ასპექტი. ამის გამო, თარჯიმანს უნდა ჰქონდეს სათანადო მოსამზადებელი დრო, რომ განიხილოს ტესტის ადმინისტრირება მასწავლებელთან და სხვა პროფესიონალებთან ერთად. ტესტის/ტესტირების პროცესის თარგმნისას არის რისკი, რომ თარჯიმანმა შეიძლება შეცვალოს გამოცდის შედეგები ან ზედმეტად დაეხმაროს სტუდენტს. ზოგჯერ, საგანმანათლებლო გუნდმა შეიძლება გადაწყვიტოს, რომ ყრუ/სმენადაქვეითებულ სტუდენტს უნდა ჰქონდეს გამოცდის ალტერნატიული მეთოდით ჩაბარების შესაძლებლობა. საგანმანათლებლო თარჯიმანი უნდა იყოს კომპეტენტური იმაში, რომ გამოცდაზე გამოყენებული ენა მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გახადოს ყრუ/სმენადაქვეითებული სტუდენტისთვის. მასწავლებლის მიერ მომზადებული ტესტები, პროექტები და შეფასებები უნდა განიხილებოდეს თავად მასწავლებელთან ერთად, რათა დადგინდეს რის ახსნა შეიძლება ტესტირებისას და რისი არა. მაგალითად, სტუდენტს შეიძლება მოეთხოვებოდეს გარკვეული ლექსიკის ცოდნა, ხოლო სხვა ტერმინები შეიძლება იყოს მეორეხარისხოვანი. აღნიშნული, სწორედ მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს. ზოგადად, ყველა გადაწყვეტილება სტუდენტის სასწავლო პროგრამასთან და პროცესთან დაკავშირებით, უნდა განიხილებოდეს საგანმანათლებლო გუნდთან ერთად.

ჟესტური ენის თარჯიმნის ურთიერთობა სტუდენტის ოჯახთან, ასევე საგანმანათლებლო გუნდის კონტექსტში უნდა ხდებოდეს. როდესაც მშობლებს კითხვები აქვთ სტუდენტის სასწავლო პროგრესთან, დავალებებთან, დისციპლინასთან და ა.შ. დაკავშირებით, თარჯიმანმა უმეტეს შემთხვევაში მშობლები უნდა დააკავშიროს

იმ სპეციალისტებთან, რომლებიც უშუალოდ არიან პასუხისმგებელი ყრუ/სმენადაქვეითებული სტუდენტების საგანმანათლებლო პროგრამაზე.

თარჯიმანი, როგორც დამხმარე მასწავლებელი (ტუტორი)

ზოგიერთ საგანმანათლებლო გარემოში თარჯიმნებს მოეთხოვებათ ასწავლონ ყრუ/სმენადაქვეითებულ სტუდენტს. როგორც წესი, თარჯიმნებს არ აქვთ გავლილი მასწავლებლის სპეციალური მომზადება. ამიტომ, აღნიშნული მიმართულებით თარჯიმნის გაძლიერება და პროფესიული სუპერვიზია აუცილებელია. საგანმანათლებლო ჟესტური ენის თარჯიმნის მიერ ყრუ/სმენადაქვეითებულ სტუდენტთან ჩატარებულ „გაკვეთილებს“ აქვს თავისი უპირატესობა. ის იძლევა პირდაპირი კომუნიკაციის შესაძლებლობას სტუდენტთან რასაც, უპირატესობა აქვს თარჯიმნით გაშუალებულ კომუნიკაციასთან შედარებით. თარჯიმანი ხშირად კარგად იცნობს ყრუ სტუდენტს და მის სასწავლო მასალას. თარჯიმანს ასევე ესმის, თუ როგორ მოქმედებს სმენის დაქვეითება ენის განვითარებაზე და ურთიერთობებზე.

თუმცა, ჟესტური ენის თარჯიმნის ტუტორის/მასწავლებლის როლში ყოფნას, გარკვეული უარყოფითი მხარეებიც გააჩნია:

- სტუდენტს ან თარჯიმანს შეიძლება გაუჭირდეს განასხვავოს როლები და პასუხისმგებლობები, რომლებიც დაკავშირებულია სწავლებასთან და თარგმნასთან. ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ სტუდენტი და თარჯიმანი თვლიან, რომ ისინი მუდმივად თარჯიმან-მასწავლებლის როლში არიან და არა ორ განსხვავებულ როლში.
- სტუდენტი შეიძლება ზედმეტად დამოკიდებული გახდეს თარჯიმანზე სწავლის თვალსაზრისით;
- თარჯიმანს შეიძლება არ ჰქონდეს სასწავლო შინაარსის სათანადო ცოდნა ან/და არ ფლობდეს სწავლების სათანადო ტექნიკას, რომ იყოს ეფექტური ყრუ სტუდენტის სწავლებისას.

ამასთანავე, თუ სტუდენტმა ვერ გაიგო საგნობრივი კონცეფციები არასათანადო თარგმნის მიზეზით ან ჟესტური ლექსიკის სიმწირის გამო, თარჯიმანმა შეიძლება ვერ შეძლოს ცნებების გაცნობა ვერც დამატებითი სწავლების დროს. თუ საგანმანათლებლო ჟესტური ენის თარჯიმანს სთხოვენ მასწავლებლის ფუნქციის შესრულებას, მან უნდა დაიცვას შემდეგი მითითებები:

- თარჯიმანი არ უნდა ასწავლიდეს სტუდენტს, თუ ეს ხელს უშლის მისი ძირითადი პასუხისმგებლობის - თარგმნის, შესრულებას;
- თარჯიმანი უნდა გაძლიერდეს (მიიღოს პროფესიული ცოდნა) ეფექტური სასწავლო ტექნიკების და ასევე საგნის შინაარსობრივი ასპექტების შესახებ;

- ტუტორინგი უნდა ხორციელდებოდეს მასწავლებლის ზედამხედველობით. არავითარ შემთხვევაში თარჯიმანმა არ უნდა შეიმუშაოს საკუთარი სასწავლო/ტუტორინგის გეგმა ან განსაზღვროს თუ რა უნდა ასწავლოს სტუდენტს;
- ტუტორობა არ წარმოადგენს თარჯიმნის ეფექტურ შემცვლელს. სტუდენტს არ უნდა ჩაუტარდეს ცალკე, ინდივიდუალურ ფორმატში სწავლება, თუკი ამის მკაფიო საგანმანათლებლო საჭიროება არ დგას, რომელიც თავის მხრივ, საგანმანათლებლო გუნდის მიერ არის განსაზღვრული;
- თარჯიმანმა უნდა განუმარტოს სტუდენტს, როდესაც თარჯიმნის გარდა სხვა როლს ასრულებს, როგორცაა სწავლება/ტუტორინგი.

მოსწავლესთან დამატებითი ინდივიდუალური მუშაობისას, მნიშვნელოვან რესურს წარმოადგენს სასწავლო პროცესის/ლექციის ვიდეო ჩანაწერი. ამრიგად, რეკომენდებულია ლექციის ვიდეო ჩანაწერების წარმოება.

თარჯიმნის სხვა დამატებითი ფუნქციები და მოვალეობები

როგორც განათლებასთან დაკავშირებული მომსახურების მიმწოდებელი, საგანმანათლებლო ჟესტური ენის თარჯიმნები იყენებენ საკუთარ ცოდნასა და პროფესიულ გამოცდილებას ყრუ/სმენადაქვეითებული სტუდენტების მრავალმხრივი საჭიროებების მხარდასაჭერად. როდესაც არ ხდება უშუალოდ თარჯიმნა, სხვა მოვალეობებიც შესაძლოა იყოს საგანმანათლებლო ჟესტური ენის თარჯიმნის მუშაობის შემადგენელი ნაწილი, როგორცაა:

- დაწესებულების პერსონალისათვის და სხვა წევრებისთვის ტრენინგის ჩატარება თარჯიმნის როლისა და პასუხისმგებლობის და ყრუ/სმენადაქვეითებულ პირებთან დაკავშირებულ სხვა საკითებზე;
- მასწავლებლებთან/სხვა თანამშრომლებთან მუშაობა იმ მიზნით, რომ გაიზარდოს ურთიერთობა ყრუ/სმენადაქვეითებულ და სმენის მქონე სხვა პირებს შორის;
- ყრუ/სმენადაქვეითებული და სმენის მქონე თანატოლების კომუნიკაციის ხელშეწყობა, სასწავლო პროცესის მიღმა;
- ყრუ/სმენადაქვეითებულ სტუდენტებთან დამატებით მუშაობა ჟესტური ენის ცოდნის გაძლიერებაზე;
- ყრუ/სმენადაქვეითებული სტუდენტისთვის სალექციო ჩანაწერების გაკეთება;
- ყრუ/სმენადაქვეითებული სტუდენტისთვის ინფორმაციის მიწოდება ყრუთა თემის რესურსებთან დაკავშირებით.

საგანმანათლებლო გარემოში ექსტრენოზანი თარგმნის მნიშვნელოვანი ასპექტები

თარგმნის სიზუსტე და სისრულე

თარგმნის სიზუსტეზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას, როგორცაა სტუდენტის მიერ საკუთარი ყურადღების მართვა, თარგმნის პროფესიული უნარ-ჩვევები, მასწავლებლის სწავლების სტილი და სხვა. საბოლოო ჯამში, თარგმნის პასუხისმგებლობაა აცნობოს მასწავლებელს და/ან სტუდენტს, როდესაც თარგმნილი ინფორმაციის სრულად და ზუსტად გადაცემა ვერ ხდება. ზოგადად, მიჩნეულია, რომ ყრუ პირისთვის თარგმნისას ყველა ვერბალური კომუნიკაცია, ისევე როგორც გარემოში არსებული ხმები/ხმოვანი ინფორმაცია ექსტრენოზანი უნდა გაქდერდეს. მნიშვნელოვანია, თარგმნის მიერ სრულფასოვნად ითარგმნოს არამარტო მასწავლებლის, არამედ სხვა სტუდენტების კომუნიკაციაც, რეპლიკები, მათ შორის შემთხვევითი ინფორმაციაც. თარგმნამა ყრუ სტუდენტს სრულად უნდა მიაწოდოს ყველა ის ხმა და საუბარი, რასაც ადგილი აქვს გარემოში. თუმცა, შეიძლება არსებობდეს სიტუაციები, როდესაც შეუძლებელია ან შეუსაბამოა ყველა კომუნიკაციისა და ხმის ინტერპრეტაცია/თარგმნა. გადაწყვეტილებები იმის შესახებ, თუ რას გადასცემს თარგმანი და რას უგულებელყოფს, უნდა განიხილებოდეს ჯგუფის მასწავლებელთან.

ზოგიერთმა ყრუ/სმენადაქვეითებულმა სტუდენტმა შეიძლება სრულად ვერ გაიგოს ქართული ენის (იქნება ეს ზეპირად გაქდერებული ინფორმაციის თუ ნაბეჭდი ტექსტის) თარგმანი კულტურული, ენობრივი ან გამოცდილებაში არსებული განსხვავებების გამო. მიზანშეწონილია, საგანმანათლებლო თარგმნამა განმარტოს ამ ტიპის ინფორმაციის ნაწილი (მაგალითად, სმენის მქონე უმრავლესობის კულტურის ხუმრობები, გარკვეული ქართული ლექსიკა, რომელიც კარგად არ ითარგმნება). ამასთან, ეს უნდა გაკეთდეს შეზღუდულად, მკაფიო კომუნიკაციის სახით და მასწავლებლის გზავნილში მნიშვნელოვანი ჩარევის გარეშე. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია იმის გადამოწმება, თუ რამდენად გაიგო სტუდენტმა მიწოდებული ინფორმაცია.

გასათვალისწინებელია, რომ სმენადაქვეითებული ან კოხლეარული იმპლანტის მქონე სტუდენტებისთვის სწავლის ძირითადი მეთოდი შეიძლება იყოს აუდიტორული არხი, ხოლო ექსტრენოზანი თარგმანი თავის მხრივ უზრუნველყოფდეს კრიტიკულ დამატებით ინფორმაციას. სტუდენტმა შეიძლება არჩიოს, რომ გარკვეულ მომენტებში დააკვირდეს მასწავლებელს ან გამოიყენოს თარგმანი ინფორმაციის მიღების ან მიღებული ინფორმაციის გადამოწმების მიზნით. ამიტომ, თარგმნამა უნდა განაგრძოს თარგმნა მაშინაც კი, თუ სტუდენტი გარკვეულ მომენტებში მხოლოდ მასწავლებელს უსმენს/უყურებს და თარგმნის არა.

სტუდენტის ყურადღების მართვის ხელშეწყობა

ყრუ/სმენადაქვეითებული ადამიანები მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებულნი საკუთარ მხედველობაზე. როდესაც მასწავლებელი საუბრობს, ამ დროს შეიძლება საჭირო გახდეს სტუდენტმა შეხედოს სურათს, გრაფიკს ან ინფორმაციის სხვა წყაროებსაც. ამან შეიძლება ადვილად შექმნას ბარიერები სწავლაში, რადგანაც სტუდენტმა უნდა უყუროს ძალიან ბევრ კონკურენტულ ინფორმაციას ერთდროულად. თარჯიმანი უნდა მუშაობდეს ჯგუფის მასწავლებელთან იმის უზრუნველყოფაზე, რომ ყველა საგანმანათლებლო შინაარსი, ენა და ვიზუალური ინფორმაცია იყოს ხელმისაწვდომი ყრუ/სმენადაქვეითებული სტუდენტისთვის. გარდა ამისა, თარჯიმანმა უნდა იცოდეს, რომ:

- ⇒ სტუდენტმა შეიძლება განიცადოს თვალის დაღლილობა;
- ⇒ ყველა სტუდენტი განსხვავდება ყურადღების მართვის შესაძლებლობით;
- ⇒ ყველა სასწავლო და არასასწავლო სტიმული ქმნის კონკურენტ სტიმულებს სტუდენტის ყურადღებისთვის. არ უნდა იყოს მოლოდინი, რომ სტუდენტი ყველაფერს ერთდროულად დაესწრება/მიაპყრობს ყურადღებას; ამის გამო, სტუდენტმა შეიძლება დროდადრო თვალი აარიდოს თარჯიმანსაც;
- ⇒ თარჯიმანს შეიძლება დასჭირდეს კომუნიკაციის მორგება იმისდა მიხედვით, თუ რა საჭიროება აქვს სტუდენტს თვალის დასვენების მხრივ;
- ⇒ გამოუცდელი სტუდენტისთვის თარჯიმნის მინიშნებები შეიძლება იყოს საჭირო, რათა ხელახლა მოახდინოს ყურადღების მიმართვა თარჯიმნისკენ;
- ⇒ თუ სტუდენტი გამუდმებით უყურადღებოა, ეს უნდა განხილულ იქნეს ჯგუფის მასწავლებელთან და საგანმანათლებლო გუნდთან ერთად; საჭიროების შემთხვევაში, საგანმანათლებლო გუნდი შეიძლება დაეხმაროს სტუდენტს უკეთესად დაეუფლოს თარჯიმნის სერვისის გამოყენებას.

თარჯიმნის ფუნქციის ახსნა და თარჯიმნის მომსახურების გამოყენების სწავლება

თარჯიმანმა უნდა იცოდეს, თუ რამდენად მზად არის სტუდენტი თარჯიმნის ხელშეწყობის გამოყენებისთვის. თარჯიმნის მომსახურების გამოყენების სწავლა ყრუ ადამიანის განვითარების უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენს, თუმცა, შესაძლოა ყრუ/სმენადაქვეითებული პირი საგანმანათლებლო გარემოში მოხვედრამდე არ იყოს გაწაფული თარჯიმნის მომსახურების გამოყენებაში. მიზანშეწონილი და აუცილებელია, თარჯიმანი დაეხმაროს სტუდენტს თარჯიმნის ფუნქციის უკეთ გაგებაში, თარჯიმნის მომსახურების მიღების ეფექტური სტრატეგიების გამოყენებაში და თარჯიმნის დახმარების გამოყენებაზე პასუხისმგებლობის აღებაში. სტუდენტმა უნდა ისწავლოს თარჯიმნის მომსახურების ეფექტიანი გამოყენება და საკუთარი სწავლის პროცესის მართვა საგანმანათლებლო თარჯიმნის საშუალებით. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს

სტუდენტისთვის მინიმუმების მიცემას ან სტუდენტის ინფორმირებას, თუ როგორ უნდა გაუმკლავდეს/მართოს თარგმნის სიტუაცია. სტუდენტმა გამოცდილებასთან ერთად, უფრო მეტი პასუხისმგებლობა უნდა აიღოს თარგმნის ხელშეწყობის სათანადოდ გამოყენებაზე.

თარგმანმა უნდა განუმარტოს თავისი როლი სასწავლო გარემოს სხვა ნებისმიერ წევრს და არა მხოლოდ ყრუ/სმენადაქვეითებულ სტუდენტს. მაგალითად, თარგმნის პასუხისმგებლობაა ასწავლოს მასწავლებელს და საგანმანათლებლო თემის სხვა წევრებს, რომ ყრუ სტუდენტთან ინტერაქციისას უნდა უყუროს ყრუ სტუდენტს და არა თარგმანს.

ლექციისთვის/სასწავლო პროცესისთვის მომზადება

აუცილებელია, მასწავლებელი და ჟესტური ენის თარგმანი მჭიდროდ თანამშრომლობდნენ სასწავლო პროცესის დაგეგმვის მიზნით. როგორც წესი, თარგმანი პირდაპირ, სინქრონში თარგმნის ლექციას, თუმცა, თარგმნისთვის ზოგი ტერმინი შესაძლოა უცხო იყოს; თარგმანმა შესაძლოა ვერ მოასწროს თარგმნა ან საერთოდ არ თარგმნოს გარკვეული ინფორმაცია, რადგან არ ესმოდეს მასწავლებლის მიერ გამოყენებული სიტყვის მნიშვნელობა ან არ იცოდეს მისი შესაბამისი ჟესტი. უცხო სიტყვების განმარტებაზე უშუალოდ სასწავლო პროცესში, საკმაოდ დიდი დრო იკარგება. ამიტომ, აუცილებელია, თარგმანს წინასწარ ჰქონდეს ტექსტი და ლექციის შინაარსი დამუშავებული, იცნობდეს ლექციასთან დაკავშირებულ სპეციფიკურ ტერმინოლოგიას, თემატიკას. თარგმანი წინასწარ უნდა მოემზადოს სალექციო აკადემიური შინაარსისთვის, მათ შორის, გაეცნოს სახელმძღვანელოს, მასწავლებლის სალექციო გეგმას, პრეზენტაციას, საჭიროებისამებრ საგანმანათლებლო ფილმებს და სხვა სასწავლო მასალას. შეისწავლოს ტექნიკური საგანმანათლებლო ლექსიკა.

იმ შემთხვევაში, თუ ლექციის მსვლელობისას ვერ მოხდა ყრუ სტუდენტისთვის გარკვეული ინფორმაციის გადაცემა, ლექციის დასრულების შემდეგ თარგმანი მასწავლებელთან ერთად უნდა დარჩეს მცირე ხნით და აუხსნას სტუდენტს ის მასალა რაც ვერ გაიგო ან რის თარგმნაც ვერ მოხერხდა ლექციის მსვლელობისას.

კვლევების თანახმად, როდესაც თარგმანი კარგად იცნობს კონკრეტული დისციპლინის შინაარსს, სპეციფიკურ ტერმინოლოგიას და ლექსიკას, ადგილი აქვს ინფორმაციის უფრო ზუსტ გადაცემას (Lang, 2002, გვ. 271). თარგმნის მიერ ცნებების გააზრება, ჟესტური ენის კარგად ფლობასთან ერთად, საგანმანათლებლო გარემოში წარმატებული თარგმნის მთავარ დადებით ფაქტორს წარმოადგენს (Foster et al., 1999). კოლეჯის 60 ყრუ სტუდენტთან ჩატარებული კვლევის თანახმად, სტუდენტები, რომლებსაც ასწავლიდნენ გამოცდილი თარგმნის საშუალებით, ორჯერ უფრო მაღალი

ქულა მიიღეს, ვიდრე მათ, ვინც სწავლობდა არაკვალიფიციური თარჯიმნის საშუალებით (Lang, 2002).

საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში მოქმედება

ქესტური ენის თარჯიმანი განიხილება როგორც კომუნიკაციის ფასილიტატორი, რომელსაც ეკისრება პასუხისმგებლობა უზრუნველყოს მაქსიმალურად ავთენტური და სწორი კომუნიკაცია. ქესტური ენის თარჯიმნებს არ აქვთ უფლება ჩაერიონ სტუდენტების პასუხებში, შეცვალონ მათი წინადადებები, მოსაზრებები, გასცენ პასუხი სტუდენტის ან მასწავლებლის ნაცვლად ან შეეცადონ „უკეთესი“ გადაწყვეტილება მიაღებინონ სტუდენტს.

ყრუ/სმენადაქვეითებულ სტუდენტს უნდა მიეცეს არჩევანის გაკეთების თავისუფლება და შეძლებისდაგვარად, დამოუკიდებლად სწავლის შესაძლებლობა (როგორც სმენის მქონე სტუდენტების შემთხვევაშია). თარჯიმანი არ უნდა დაეხმაროს სტუდენტს მუშაობაში, თუ საგანმანათლებლო გუნდი ამის აუცილებლობას ვერ ხედავს. სხვა შემთხვევაში, აღნიშნული არ წარმოადგენს თარგმნას, არამედ უფრო სწავლაში დახმარებაა (რაც ასევე შეიძლება წარმოადგენდეს საგანმანათლებლო თარჯიმნის თარგმანისგან განსხვავებულ ფუნქციას). ამრიგად, თარჯიმანმა უნდა შეინარჩუნოს პროფესიული საზღვრები, პატივი სცეს და ხელი შეუწყოს სტუდენტების მაქსიმალურად დამოუკიდებელ სწავლას; ამასთანავე, თარჯიმანმა თარგმნის პროცესში საკუთარი თავი არ უნდა მიიჩნიოს მასწავლებლად და არ უნდა შევიდეს მასწავლებლის როლში (მაგ. სტუდენტის მიერ დასმულ შეკითხვაზე თავად გასცეს პასუხი, მისცეს შენიშვნა ან უკუკავშირი სტუდენტის მიერ გაცემულ პასუხზე და ა.შ.).

თარჯიმნის, ყრუ სტუდენტის და მასწავლებლის განთავსება

ეფექტური თარგმნისა და კომუნიკაციისთვის, მნიშვნელოვანია თარჯიმანსა და სტუდენტს შორის სწორი განთავსების უზრუნველყოფა. ზოგჯერ ოთახში არსებული განათება და მასთან მიმართებით არასათანადოდ განთავსება, ხელს უშლის სტუდენტისთვის ვიზუალური ინფორმაციის ეფექტიანად გადაცემას. თარჯიმანი არ უნდა იდგეს მზის შუქზე ან ძალიან განათებულ ადგილას, ასევე, მკვეთრი განათება არ უნდა ხვდებოდეს თარჯიმნის ზურგის მხრიდან, რათა არ დაიჩრდილოს მისი სახე და მკაფიოდ ჩანდეს სახის გამომეტყველება და ქესტები.

თარჯიმანმა უნდა უზრუნველყოს საკუთარი, სტუდენტის და მასწავლებლის სათანადო ურთიერთგანთავსება. ქესტური ენის თარჯიმანი ყოველთვის უნდა იდგეს მასწავლებლის გვერდით და არა სტუდენტის პირისპირ, რადგან სტუდენტს ჰქონდეს შესაძლებლობა მასწავლებლის მოქმედებასაც ადევნოს თვალი. ჯგუფში ერთზე მეტი ყრუ სტუდენტის შემთხვევაში, სტუდენტები უნდა ისხდნენ ერთად, რათა ერთნაირად

ჰქონდეთ წვდომა თარჯიმანსა და მასწავლებელზე და შეძლონ მათთან ეფექტური მხედველობითი კონტაქტის შენარჩუნება. ჟესტური ენის თარჯიმნის მიერ საკუთარი თავის სათანადოდ განთავსება, სტუდენტისთვის საგანმანათლებლო შინაარსზე ვიზუალურ წვდომას უზრუნველყოფს.

თარგმნის პირი - პირველი პირის პერსპექტივა

ჟესტური ენის მომხმარებლები ინფორმაციას უფრო „აჩვენებენ“, ვიდრე „ჰყვებიან“, გამოიყენებენ რა როლის ცვლას, რომ რეკონსტრუირება გააკეთონ ან განავითარონ დიალოგი, ფიქრები, ქმედებები და ქცევები პირველი პირის პოზიციიდან. სამეტყველო ენაზე მოსაუბრე, იღებს რა გარე პოზიციას, უფრო ხშირად თარგმნისას ინფორმაციას გადმოსცემს არაპირდაპირ, უფრო დისტანციური მესამე პირისა და წარსული დროის გამოყენებით (მან თქვა). თუმცა, თარგმნა უნდა ხორციელდებოდეს პირველ და არა მესამე პირში.

თარჯიმნის იერსახე და ჩაცმულობა

ჟესტური ენით მოსარგებლე ყრუ/სმენადაქვეითებული პირებს საკმაოდ დიდი დატვირთვა აქვთ ვიზუალურ არხზე, მხედველობაზე. გარემოში არსებული ვიზუალური სტიმულები, დამატებით გამლიზიანებულს და ყურადღების გამფანტველს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, დიდი მნიშვნელობა აქვს ჟესტური ენის თარჯიმნის ჩაცმულობასა და ზოგად იერსახეს. არსებული პროფესიული სტანდარტით, ჟესტური ენის თარჯიმანი აუცილებლად უნდა ატარებდეს მუქი ფერის ტანსაცმელს, თარგმნის დროს თავი უნდა შეიკავოს ზედმეტი აქსესუარებისგან და სამკაულისგან.

აღსანიშნავია, რომ რთულია სულ მუქი ფერის ტანსაცმლის ტარება, ამიტომ, თარჯიმანს შეუძლია სამუშაო ადგილზე ჰქონდეს სათადარიგო მუქი ფერის მაისური, რომელსაც სასწავლო პროცესში გამოიყენებს.

თარგმანის მორგება სტუდენტის ენობრივ შესაძლებლობებზე

ჟესტური ენის ცოდნა განსხვავებულია ყრუ სტუდენტებს შორის. საგანმანათლებლო ჟესტური ენის თარჯიმანმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს კონკრეტული ყრუ/სმენადაქვეითებული სტუდენტის ენობრივი (და სხვა) შესაძლებლობები და თარგმნის ენა, სტილი და მოდალობა მაქსიმალურად მოარგოს ამ შესაძლებლობებს. გამოყენებული ჟესტის/ჟესტური ენა სტუდენტის ჟესტური ენის ცოდნის აქტუალურ დონესთან უნდა იყოს თანხვედრაში. როდესაც სტუდენტის ჟესტური ენის ცოდნა სათანადოდ არ არის განვითარებული, თარჯიმანმა შესაძლოა გამოიყენოს თანმიმდევრული თარგმნის ტექნიკა სინქრონულის ნაცვლად. თარჯიმნისთვის განსაკუთრებულ გამოწვევას წარმოადგენს, როდესაც ჯგუფში თარჯიმნის

მომსახურებით მოსარგებლე ერთზე მეტი ყრუ/სმენადაქვეითებული სტუდენტია, რომელთა ენობრივი უნარები მკვეთრად განსხვავებულია. ზოგადად, გამოცდილი თარჯიმანი განსაკუთრებულად ენის არასათანადო ცოდნის მქონე სტუდენტებს სჭირდებათ.

კვლევების თანახმად, ყრუ სტუდენტების ოპტიმალური სწავლის პირობების შესაქმნელად ერთ-ერთ აუცილებელ ასპექტს თარჯიმნის სრულფასოვანი ჟესტურენოვანი უნარები და თარგმნის ყრუ სტუდენტის საჭიროებებზე მორგება წარმოადგენს (Marschark, Sapere and Convertino, 2008).

ინფორმაციის გადაცემის ტემპის მორგება

ყრუ სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდება მათ მიერ ვიზუალური ინფორმაციის დამუშავების მოთხოვნებს უნდა ითვალისწინებდეს. სასწავლო შინაარსის გადაცემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიას სწავლების ტემპის მორგება წარმოადგენს. ყრუ სტუდენტებს სჭირდებათ სათანადო დროის მიცემა და ტემპის რეგულირება, რათა ჰქონდეთ დრო ყურადღება გადაიტანონ მოსაუბრიდან მოსაუბრეზე ან მოსაუბრიდან ტექსტზე ან ვიზუალურ დემონსტრირებაზე/აქტივობაზე; ამასთანავე, ყრუ სტუდენტს უნდა მიეცეს შესაბამისი დრო პასუხისათვის. მნიშვნელოვანია, რომ როგორც თარჯიმანმა, ასევე, მასწავლებელმა ეფექტურად გამოიყენოს საკუთარი მზერა ყრუ სტუდენტის ყურადღების გადასატანად პროცესის კონკრეტულ ასპექტებზე; პროცედურების თანმიმდევრობის დაცვა და ტემპის მორგება, ყრუ სტუდენტების სწავლების მნიშვნელოვან სტრატეგიას წარმოადგენს, რომელიც აუცილებელია იცოდეს როგორც თარჯიმანმა, ასევე, მასწავლებელმაც. საჭიროების შემთხვევაში, თარჯიმანმა მასწავლებელს უკუკავშირი უნდა მისცეს, როდესაც ტემპი სათანადო არ არის და ან მასწავლებელი რამდენიმე მოქმედებას (დემონსტრირება, საუბარი) ერთდროულად ახორციელებს.

დანართში N1 წარმოდგენილია ის სარეფლექსიო საკითხები, რომლებიც სასწავლო პროცესის თარგმნისას ჟესტური ენის თარჯიმანმა უნდა გაითვალისწინოს.

თარგმნის სახეები და მათი გამოყენება სასწავლო პროცესში

ფრაზული და წინადადების დონე

თარგმნის დამუშავება ძირითადად ფრაზის და წინადადების დონეზე ხდება. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ აზრის ამ პორციების დაფიქსირება და დამუშავება უფრო მოსახერხებელია. ეს იმას ნიშნავს, რომ თარჯიმნებს შეუძლიათ იწინასწარმეტყველონ ბევრი ფრაზის შინაარსი და წინადადებებიც კი დაასრულონ ინდივიდუალური

სიტყვების დამუშავებაზე ძალისხმევის გაწევის გარეშე. თარჯიმნები ხშირად ამ დონეზე ახდენენ დამუშავებას, რადგან ფრაზები და წინადადებები იძლევა თარგმანის ფორმულირებისთვის აზრის მინიმალურ რაოდენობას; თუმცა, ასევე არსებითია იმის გათვალისწინებაც, თუ როგორ კავშირშია აზრის ეს ერთეულები მთლიან ტექსტთან და კომუნიკაციის მიზანთან.

ტექსტური დონე

ტექსტურ დონეზე თარგმნა მოითხოვს სათარგმნი ტექსტის წინასწარ წაკითხვას და ცოდნას, რადგან თარჯიმნისთვის არ იყოს რომელიმე სიტყვა თუ ტერმინი უცნობი. ანუ, ტექსტურ დონეზე თარგმნა, საგანმანათლებლო თარჯიმნისგან აუცილებლობით მოითხოვს ლექციის თემის/ტექსტის წინასწარ დამუშავებას.

თარჯიმნობის ტექნიკები ან მოდალობები

არსებობს ზეპირი თარგმნის ორი მთავარი ტექნიკა, ასევე ცნობილი როგორც თარგმნის მოდალობა: თანმიმდევრული და სინქრონული.

თანმიმდევრული თარგმნა

თანმიმდევრულ თარგმნას აქვს ადგილი, როდესაც მოსაუბრე ან ქვეტური ენის მომხმარებელი გზავნილს გადასცემს პორციებად, პაუზებით, რომ თარჯიმანმა თარგმნოს გზავნილის თითოეული ნაწილი. ეს სეგმენტები შესაძლებელია იყოს მოკლე, როგორც ფრაზა ან გრძელი, როგორც მთლიანი ტექსტი. თანმიმდევრული თარგმნის ტექნიკა, როგორც წესი, გამოიყენება სამეცყველო ენებს შორის დიალოგურ რეჟიმში მუშაობის დროს, რომ არ მოხდეს ხმების გადაფარვა და უზრუნველყოფილ იყოს სიზუსტე. თუმცა, ამ ტექნიკას ქვეტური ენის თარჯიმნები იყენებენ უფრო ფორმალურ დონეზეც, რომ თარჯიმანმა თანმიმდევრულად თარგმნოს მოსაუბრეების საუბარი. მაგალითად: სტუდენტის გამოკითხვის დროს თარგმნა.

სინქრონული თარგმნა

სინქრონული თარგმანის დროს, მოსაუბრე საუბრობს გაუჩერებლად და თარჯიმანი მის გზავნილებს მოსმენისთანავე/დანახვისთანავე გადასცემს, როგორც კი მოისმენს/დაინახავს იმდენს, რომ აზრის გამოტანა იყოს შესაძლებელი. სინქრონული თარგმნა თარჯიმნისგან განსხვავებულ უნარებს მოითხოვს, ვიდრე თანმიმდევრული თარგმნა, კერძოდ:

- ⇒ საწყისი ენის გზავნილის მოსმენა/დანახვა და მისი აზრის გაანალიზება;
- ⇒ მნიშვნელობის მატარებელი იმ პორციის (ან ცნების) იდენტიფიცირება, რაც უნდა ითარგმნოს;

⇒ ცნების რეკონსტრუირება და სამიზნე ენაზე გადაცემა.

ამავდროულად:

- ⇒ საწყისი ენის მოსმენა ან ყურება;
- ⇒ შემდეგი სათარგმნი სეგმენტის იდენტიფიცირება;
- ⇒ სამიზნე ენაზე საკუთარი თარგმანის მონიტორინგი.

ამ მიზეზით, სინქრონულად მუშაობა უფრო მეტ კოგნიტურ უნარებსა და ძალისხმევას მოითხოვს, ვიდრე თანმიმდევრული ტექნიკის გამოყენება, როდესაც თარგმანი ინფორმაციის მხოლოდ ცალკეული პორციის დამუშავებას ახდენს.

როდესაც თარგმნები სინქრონული მოდალობით მუშაობენ, როგორც წესი, წინასწარ არ იციან, რას იტყვის მოსაუბრე. ამიტომ, თარგმნას ყოველთვის მოსაუბრესთან ერთად კი არ იწყებენ, არამედ გარკვეული დროის შემდეგ. ეს ხანმოკლე ლოდინი საშუალებას აძლევს თარგმანს გააანალიზოს საწყისი ენის გზავნილის პორცია, სანამ სათარგმნი ენაზე გადასცემს. დამუშავების დრო დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ნაცნობია ან რამდენად რთულია შემომავალი ინფორმაცია. თარგმანს შეიძლება დიდი დრო დასჭირდეს კარგად რომ გაიგოს უცნობი ტერმინი, ან შესავალში რომ იპოვოს მინიშნება ამ ტერმინზე. თუმცა, მაგალითად სტატისტიკური მონაცემების ან ტელეფონის ნომრების გადათარგმნის დროს, საჭიროა მინიმალური დროის ინტერვალი, რადგან დიდმა ინტერვალმა შეიძლება გაართულოს ყველა დეტალის დამახსოვრება. აგრეთვე, როცა თემა ძალიან კარგად ნაცნობია თარგმნისთვის, ან მოსაუბრე იყენებს საკმაოდ გავრცელებულ და აქედან გამომდინარე, ბევრისთვის ნაცნობ ფრაზებსა და გამოთქმებს, დროის ინტერვალი შეიძლება მნიშვნელოვნად შემცირდეს და ან საერთოდაც გაქრეს. შეიძლება ზოგჯერ შევნიშნოთ თარგმანის სეგმენტები, რომელიც ფაქტიურად, მოსაუბრეს უსწრებს, რადგან თარგმანმა იცის, საით მიდის საუბარი. რა თქმა უნდა, ამან შეიძლება უარყოფითი შედეგი მოიტანოს და საჭირო გახდეს შესწორება, თუ თარგმანი შეცდა.

რომელი ტექნიკაა უკეთესი ჟესტურენოვანი თარგმნისთვის?

რადგან ჟესტური ენის თარგმნები მუშაობენ „ჩუმ“ და „ხმოვან“ ენას შორის, ზეპირი თარგმნის პროცესი, როგორც წესი, მიმდინარეობს სინქრონულად. ჟესტურენოვანი თარგმნის მომხმარებლები ზოგადად ელიან, რომ თარგმნები იმუშავებენ სინქრონულ რეჟიმში, კონტექსტის მიუხედავად.

თანმიმდევრული ტექნიკის გამოყენება შეიძლება ეფექტური იყოს საგანმანათლებლო პროცესის გარკვეულ ვითარებებში, განსაკუთრებით სტუდენტის გამოკითხვისას, როცა ზეპირი თარგმანის სიზუსტე და სიცხადე კრიტიკული მნიშვნელობის არის. ერთ ჯერზე ენის ერთ სეგმენტზე მუშაობა აძლევს თარგმანს დროს და დამუშავების საშუალებას,

რომ უფრო ნათელი იდგა შექმნას სპეციფიურ ლეტალებზე და ძირითად მიზნებზე. გამოცდილი ჟესტური ენის თარჯიმნები ზოგჯერ ცდილობენ თანმიმდევრული თარგმნის უპირატესობის დამტკიცებას მსგავს სენსიტიურ სიტუაციებში, რომ შეძლონ გადაამუშაონ რთული, ტექნიკური ან დამაბნეველი ინფორმაცია და რაც შეიძლება ნათლად გადასცენ სამიზნე ენაზე. ნაკლებად გამოცდილ ჟესტური ენის თარჯიმნებს, ხშირად, თანმიმდევრული თარგმნის სახეობა აშინებთ, რადგან მიიჩნევენ, რომ დაავიწყდებათ ინფორმაცია თუ დიდხანს დაიცდიან და ფიქრობენ, რომ სინქრონული თარგმნა უფრო იოლია, რადგან შეუძლიათ ინფორმაციის დაუყოვნებლივ დამუშავება პატარ-პატარა პორციებად. ეს, როგორც წესი, ნიშნავს, რომ არ არიან თანმიმდევრობით თარგმნას მიჩვეულნი და არ ენდობიან საკუთარ მეხსიერებას.

თარჯიმნებმა, რომლებიც სინქრონულად მუშაობენ და არ იყენებენ დროის საკმარის ინტერვალს, შეიძლება დაასრულონ იმით, რომ ერთ ჯერზე მხოლოდ ერთი ან ორი სიტყვის დამუშავებას შეძლებენ ცნებების ნაცვლად ან მოსაუბრის გზავნილის მიმართულებას არასწორად განსაზღვრავენ. ლექსიკურ დონეზე დამუშავებამ შეიძლება გამოიწვიოს გზავნილის ჟესტურ ენაზე არაბუნებრივი სტრუქტურირება, რაც ყრუ ადამიანს აზრის გამოტანის შესაძლებლობას არ მისცემს. თუმცა, სიტყვასიტყვითი/ლიტერატურული თარგმნა ყოველთვის ცუდი არ არის.

სიტყვასიტყვითი თარგმნა (ტრანსლიტერაცია) vs „თავისუფალი ინტერპრეტაცია“

იმისგან დამოუკიდებლად, თანმიმდევრობით თუ სინქრონული მოდალობით მუშაობენ, თარჯიმნებს შეუძლიათ სამიზნე ენაზე შექმნან გზავნილი, რომელიც ახლოს ან შორს იქნება საწყისი ენის სიტყვებისგან/ჟესტებისგან და სტრუქტურისგან. ეს დამოკიდებულია მათ უნარებზე, ასევე, გზავნილის ტიპზე და მომხმარებლის არჩევანზე. შეიძლება წარმოვიდგინოთ კონტინუუმი, რომლის ერთ ბოლოში იქნება „სიტყვასიტყვით“ თარგმნა და მეორე ბოლოში უფრო ბუნებრივი ან „თავისუფალი“ თარგმნა.

თავისუფალი თარგმნა

ტერმინი „თავისუფალი თარგმნა“ არ ნიშნავს, რომ თარჯიმანს შეუძლია თავისუფლად შეცვალოს აზრი, არამედ ნიშნავს, რომ თარგმანს ათავისუფლებს საწყის ენაზე გამოყენებული სიტყვებისგან/ჟესტებისგან. თარჯიმანმა უნდა გამოხატოს აზრი ისეთი ფორმით, რომელიც შეიძლება სამიზნე ენაზე სხვანაირად იქნას სტრუქტურირებული, მაგრამ ძირითად აზრს გადასცემდეს.

თავისუფალი თარგმანის დროს, დროის ერთი მონაკვეთის რეკონსტრუირება ხდება ჟესტური ენის ნორმების მიხედვით და მოსაუბრის სიტყვები და გარკვეულწილად არაპირდაპირი სტილი, გაანალიზდება და რეკონსტრუირდება იმ ფრაზებსა და სტილში,

რომელიც უფრო დამახასიათებელია ჟესტური ენისთვის და შესაბამისად, ბუნებრივია ყრუ მომხმარებლისთვის.

თავისუფალი მიდგომა ასევე გამოიყენება ჟესტური ენიდან სალაპარაკო ენაზე თარგმნის დროს. ზოგადად, თავისუფალი თარგმნითი მიდგომა გზავნილების გადაცემის ყველაზე ეფექტური გზაა, რომელიც ორივე იმ მხარისთვის მნიშვნელოვანია, რომლებიც განსხვავებულ ენებსა და კულტურებს შორის ამყარებენ კომუნიკაციას. თავისუფალი თარგმანი აღიარებს, რომ ერთი და იგივე იდეები საკმაოდ სხვადასხვანაირად შეიძლება გამოიხატოს თითოეულ ენაზე და რომ მონაწილეებს განსხვავებული ცხოვრებისეული გამოცდილებები აქვთ.

სიტყვასიტყვითი თარგმნა (ტრანსლიტერაცია)

უმეტეს შემთხვევაში, სიტყვასიტყვითი თარგმნა ნიშნავს სამეტყველო ენაზე წარმოებული გზავნილის გადატანის პროცესს ჟესტურ ენაზე, როდესაც შენარჩუნებულია სალაპარაკო ენის სტრუქტურა (სინტაქსი) და ლექსიკა. ასეთივე თარგმანი შეიძლება გამოყენებულ იქნას ჟესტური ენიდან სალაპარაკო ენაზე თარგმნისას. მაგალითად, ტესტირების დროს როდესაც მასწავლებელს სურს გაიგოს თითოეული ჟესტის მნიშვნელობა, რომელიც ყრუ სტუდენტმა გამოიყენა. თუმცა, სიტყვასიტყვით თარგმნა ნაკლებად ხშირია.

ჟესტური ენის თარგმნის სფეროში, სიტყვასიტყვითი თარგმანი, შეიძლება, იყოს ლეგიტიმური პრაქტიკა ყრუ ბილინგვი ადამიანებისთვის. ყრუ ადამიანები სალაპარაკო ენის გარემოცვაში იმყოფებიან მთელი ცხოვრების მანძილზე, განსაკუთრებით განათლების სფეროში, რაც გარდუვალ გავლენას ახდენს იმ ენის სტრუქტურაზე, რომელსაც ისინი იყენებენ.

სიტყვასიტყვით თარგმნა შეიძლება ეფექტური და სასურველიც იყოს გარკვეულ კონტექსტებში, როდესაც ყრუ ადამიანს სურს სალაპარაკო ენის ტერმინებზე წვდომა. მაგალითად, საგანმანათლებლო კონტექსტში, სტუდენტებს შეიძლება სურდეთ იცოდნენ საგანთან დაკავშირებული სპეციფიური ტერმინოლოგია ან სალაპარაკო აკადემიური ენის სტრუქტურა. მაგალითად, ბილინგვ ყრუ ადამიანს შეიძლება ესაჭიროებოდეს სიტყვასიტყვითი თარგმნა ლექციაზე, მაგრამ ამჯობინოს თავისუფალი თარგმნა სოციალურ კონტექსტში. ორ სტილს შორის მონაცვლეობა და ორი ტექნიკის კომბინაცია, შესაძლებელია ერთსა და იმავე ინტერაქციის ფარგლებშიც. მაგალითად, თარჯიმანი შეიძლება იყენებდეს თავისუფალ მიდგომას დისკუსიის აზრისა და მიზნის გადმოცემისას, მაგრამ გადავიდეს სალაპარაკო ენის ბაგეებით და/ან თითებით დამარცვლაზე (დაქტილზე) ტექნიკური ტერმინების ან დოკუმენტის თარგმნისას, რომელსაც ყრუ ადამიანი საჭიროა რომ მიჰყვეს. როცა სიტყვასიტყვით მიდგომას იყენებენ, თარჯიმნებს სჭირდებათ ჟესტური ენის გრამატიკის საკმაოდ კარგი ცოდნა.

ქესტურ და ბეჭდურ ენას შორის თარგმნა

ქესტური ენის თარგმნა ძირითადად ზეპირად ხდება, თუმცა, ზოგჯერ თარჯიმნებს სთხოვენ გადათარგმნონ წერიტი ენიდან ან წერიტი ენაზე. ამის მაგალითია, როდესაც თარჯიმანი ეხმარება ყრუ ადამიანს რაიმე ფორმის შევსებაში. თუ ყრუ ადამიანი წერაკითხვას კარგად ვერ ფლობს, შეიძლება, თარჯიმანს სთხოვონ დოკუმენტის თარგმნა და ამ შემთხვევაში, შესაძლებელია, ქესტური პასუხები წერილობით გადათარგმნოს (მაგ.: წერიტი ტესტირების დროს). ამ ტიპის თარგმნის დროს, საჭიროა თარჯიმანმა არ იჩქაროს, წაიკითხოს ტექსტი, ან მისი გარკვეული მონაკვეთი სრულად, რომ მისი მნიშვნელობა გაიგოს კონტექსტში ქესტურ ენაზე გადათარგმნამდე. თარჯიმანი უნდა მოერიდოს წინადადებების ტრანსლიტერაციას სამეტყველო ენის გავლენით, რადგან შეიძლება ყრუ მომხმარებელს გაუჭირდეს ამ ტიპის თარგმანის გაგება.

ქესტურენოვანი კომპეტენციები - ვიზუალური გრამატიკა, არტიკულაცია, დაქტილის გამოყენება

ქართული ქესტური ენის ლექსიკის და თარგმნის სხვადასხვა მოდალობის სრულფასოვნად ფლობასთან ერთად, აუცილებელია, თარჯიმანი სათანადოდ ფლობდეს ქესტური ენის გრამატიკას. ვიზუალური გრამატიკა და არტიკულაცია უნდა იყოს გამოკვეთილი, ხოლო დაქტილის ფლობა სათანადო და მკაფიო.

ქართული ქესტური ენის გრამატიკის ფლობა მოიცავს შემდეგ ძირითად ასპექტებს:

- ქესტური ენის სტრუქტურების მრავალსახეობის გამოყენება, მაგალითად, თემა-კომენტარი, როლის ცვლა, დიალოგი და შეკითხვები;
- წინადადებების სტრუქტურის ზუსტად და სრულად ფორმულირება; ამისთვის საჭიროა: თარჯიმანმა გამოხატოს განსაზღვრება და აზრი ქესტებით (მაგალითად: დიდი, პატარა, სწრაფი, უსაქმური);
- მრავლობითის ცხადად გამოხატვა „რაოდენობის“ ამსახველი ქესტების გამოყენებით (მაგალითად, ბევრი, ცოტა), ქესტების გამეორება, მითითების ქესტების და/ან კლასიფიკატორი ქესტების გამოყენება (მრავლობითი ლოკაციების შექმნით და/ან მოძრაობებით);
- დროის აზრის გამოხატვა ზუსტად ზმნის უღლებით (მაგალითად: ქესტური მოძრაობის შეცვლით, ხანგრძლივობის ჩვენებით, გამეორებით და ა.შ) და დროის ფრაზების გამოყენება (მაგალითად, სამი თვის წინ);
- ტუჩების ნათელი მოძრაობების გამოყენება, რომლებიც პასუხობენ მნიშვნელოვან შინაარსობრივ სიტყვებს;
- მიმიკის სათანადოდ გამოყენება;

- დაქტილის თავისუფლად, სწორად, მოქნილად და უწყვეტად გამოყენება;
- ზმნებში მიმართულებითი მოძრაობებისა და კლასიფიკატორი ქესტების გამოყენება გრამატიკული ურთიერთობების ან ფიზიკური ქმედებების წარმოჩენის მიზნით (ადამიანის, ცხოველის, ფრინველის გადაადგილება/ მოძრაობები);
- მიმართულებითი ზმნური მოძრაობის და თვალის მოძრაობის გამოყენება სივრცეში ზუსტად დადგენილი პუნქტების შესაბამისად (შორს, ახლოს, აქვე...);
- დროის ამსახველი ქესტებისა და მოვლენების ამსახველი ქესტების მოთავსება ადეკვატურ გრაფიკში, სივრცეში; (ადრე, ახლა...)
- ახლო და დისტანციური ფოკუსის გამოყენება ვიზუალურ სცენებში. მაგალითად, ზოგადი აღწერის გადიდება და დაპატარავება, ზოგადი აღწერიდან უფრო სპეციფიურ ლეტალუბამდე;
- თვალის მოძრაობის მიმართულებების და ზოგჯერ თავისა და სხეულის ორიენტაციის მიკუთვნება სპეციფიური ასპექტებისადმი დიალოგის ან იმ ქმედებების აღწერის დროს, რომელიც როლის ცვლას იყენებს;
- დროის შეგრძნების შექმნა - ალტერნატიული კონსტრუქციების გამოყენება დროის ჩარჩოს დასადგენად (მაგალითად, გუშინ მე ვიხტუნავე ან ხტუნაობა მე დავამთავრე);
- მოცდა, სანამ მოხდება ერთმანეთთან დაკავშირებული იდეების ჯგუფის ვიზუალიზაცია და გზავნილის რეკონსტრუირება ვიზუალურ-სივრცით განზომილებაში.

დანართში N2 მოცემულია აქტივობები თარჯიმნის პროფესიული უნარ-ჩვევების გასავითარებლად.

ქესტური ენის თარჯიმნის პროფესიული ეთიკა

ყველა არსებულ პროფესიას აქვს თავისი ეთიკა, რომელიც განაპირობებს პროფესიის ფარგლებში ინდივიდის ქცევას. პროფესიული ქცევის კოდექსებში ჩამოყალიბებულია მორალურ პრინციპებზე დაფუძნებული სტანდარტები და პროფესიული ქცევა, რომლის მიზანია, დაიცვას მომხმარებელი შესაძლო ძალადობისა და არაკომპეტენტურობისგან. ამერიკის შეერთებული შტატების ყრუთა თარჯიმნების რეესტრს (RID), ყრუთა ეროვნულ ასოციაციასთან (NAD) ერთად შემუშავებული აქვს ქესტური ენის თარჯიმნების ქცევის კოდექსი. აღნიშნული ქცევის კოდექსის თანახმად თარჯიმნები, ისევე როგორც სხვა პროფესიის წარმომადგენლები, იცავენ პროფესიული ქცევის კოდექსს. ქესტური ენის თარჯიმნის არსის, როლისა და ქცევის შესახებ ეთიკის გამაერთიანებელი ძირითადი პრინციპებია: მიუკერძოებლობა და ნეიტრალიტეტი, კონფიდენციალურობა, თარგმნის სიზუსტე და პატიოსნება.

მიუკერძოებლობა და ნეიტრალიტეტი

მიუკერძოებლობა და ნეიტრალიტეტი კავშირშია იმასთან, თუ როგორ ასრულებს თარჯიმანი თავის სამუშაოს და რამდენად ახერხებს ის გარეშე პირის როლში ყოფნას. რეალობაში თარჯიმნებს მაინც უხდებათ საკუთარი სახელით საუბარი რაიმეს წარდგენის, განმარტების მიცემის დროს და ზოგჯერ დიალოგში რიგითობის დაცვის დარეგულირება. მიუკერძოებლობა, როგორც თარჯიმნის როლის განუყოფელი ნაწილი, მოითხოვს, რომ თარჯიმანმა დაიჭიროს საქმიანი დისტანცია და არ გამოხატოს სპეციფიკური განწყობა ყრუ ადამიანის მიმართ, რომელსაც თარგმნით მომსახურებას უწევს.

კონფიდენციალურობა

კონფიდენციალურობა მრავალი პროფესიის ეთიკის საფუძველს წარმოადგენს. ქესტური ენის თარჯიმანი ფაქტიურად ფლობს იმ საუბრის შინაარსს და პირად ინფორმაციას, რომელიც მას არ ეცოდინებოდა, მხარეებს მის გარეშე პირდაპირი კომუნიკაცია რომ შესძლებოდათ. ის, თუ როგორ გამოიყენებს თარჯიმანი ამ ინფორმაციას, წარმოადგენს ეთიკის საკითხს, რომელიც ყოველთვის აფიქრებს ყრუთა საზოგადოებას/თემს. თარჯიმანმა უნდა დაიცვას იმ ინფორმაციის კონფიდენციალურობა, რომელიც სხვა პირისთვის არის განკუთვნილი, ხოლო თავად ის შემთხვევით ან სიტუაციური საჭიროებიდან გამომდინარე გაეცნო აღნიშნულ ინფორმაციას სამუშაოს შესრულებისას. თარჯიმნები ვალდებული არიან მომხმარებლის წინაშე, რომ არ გაამჟღავნონ ნათარგმნი ინფორმაცია და შეხვედრის შინაარსი, თავის კოლეგებთანაც კი.

კონფიდენციალურობის დაცვა, მოიცავს სტუდენტის ოჯახების კონფიდენციალურობის დაცვასაც. საგანმანათლებლო თარჯიმნებს შეუძლიათ სტუდენტი განიხილონ საგანმანათლებლო გუნდთან ერთად, რომელიც ხშირად სტუდენტის ოჯახის წევრსაც მოიცავს. თუმცა, მათ არ შეუძლიათ განიხილონ სტუდენტის ან მისი ოჯახის წევრი/წევრები ამ გუნდის გარეთ ვინმესთან, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ აღნიშნული საჭიროება გუნდის მიერ არ არის განსაზღვრული. მიზანი არის ოჯახის კონფიდენციალურობის დაცვა და არა უბრალოდ სახელების გამოყენების თავიდან აცილება.

სიზუსტე და პატიოსნება

ქესტური ენის თარჯიმნის ეთიკა ასევე კავშირშია სიზუსტესა და პატიოსნებასთან. სიზუსტის ეთიკა თარჯიმნისგან მოითხოვს შეტყობინების გადაცემას მოსაუბრის მიერ ნათქვამის სრული დაცვით, ყოველგვარი დამატების, გამოკლების ან მნიშვნელობის შეცვლის გარეშე. სიზუსტით თარგმნა მნიშვნელოვანია ყველა სიტუაციაში. თარჯიმანი არის ერთადერთი ადამიანი, ვინც იცის გამოტოვა თუ არა რამე, არასწორად გაიგო ან

არასწორი ინტერპრეტირება ხომ არ გაუკეთა მოსაუბრის ნათქვამს. თეორიულად, თუკი თარჯიმანი გრძნობს, რომ არ შეუძლია ზუსტად თარგმნა ლინგვისტური, ტექნიკური, ფიზიკური თუ ემოციური ფაქტორების გამო, მან უარი უნდა თქვას ამ სამუშაოს შესრულებაზე. „ცუდი“ თარჯიმანი შეიძლება უარესი იყოს, ვიდრე უთარჯიმნო სიტუაცია, რადგან იქმნება ილუზია, რომ თარჯიმანი არსებობს, მაგრამ მომხმარებელი ვერ იღებს სათანადო მხარდაჭერას. მაგ. როდესაც სტუდენტი ჩაირიცხება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და მას ჰყავს თარჯიმანი რომელიც ადეკვატურად არ ფლობს საჭირო ლექსიკას ან ვერ თარგმნის საჭირო ტემპით თეორიულ საგნებს, ძალიან მაღალია იმის ალბათობა, რომ ამ სტუდენტს არ ექნება საშუალება სრულყოფილად დაეუფლოს სასწავლო მასალას, რაც საფრთხის ქვეშ აყენებს მის მიერ სასწავლო პროგრამის წარმატებით დასრულების საკითხს, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ორგანიზებული იყო დამხმარე სერვისები. ამისათვის თარჯიმანს უსაჭიროება კარგად განვითარებული კრიტიკული ანალიზი და გააზრების უნარ-ჩვევები, ისევე, როგორც პატიოსნება. პროფესიული ეთიკა, ასევე გულისხმობს პროფესიულ განვითარებასა და კომპეტენციების გაძლიერებაზე უწყვეტ ზრუნვას.

რეფლექსური პრაქტიკა

ჟესტური ენის თარჯიმანს მუდმივ პროფესიულ განვითარებაში ეხმარება რეფლექსური პრაქტიკა. თარგმნა ჟესტური ენის თარჯიმანისგან მოითხოვს ფიზიკურ, მენტალურ და ემოციურ ძალისხმევას და უკავშირდება ფიქრებსა და გრძნობებს, რაც თავის მხრივ, უკავშირდება საკუთარ გამოცდილებას იმის შესახებ, კარგად თარგმნის თუ არა. თარჯიმნები ხშირად დიდხანს ფიქრობენ დაშვებულ ლინგვისტურ შეცდომებზე ან/და ინტერაქციის პრობლემაზე.

იმისათვის, რომ ჟესტური ენის თარჯიმანს საკუთარ მუშაობაზე ჰქონდეს კონტროლი და დახვეწოს პროფესიული უნარები, მნიშვნელოვანია გამოცდილებაზე მხოლოდ რეაგირებიდან, უფრო ანალიტიკურ და კრიტიკულად რეფლექსურ მიდგომაზე გადასვლა. დავალების თეორიული გაგება საშუალებას აძლევს თარჯიმანს შეაფასოს თავისი სამუშაოს შედეგი უფრო დეტალებში და არა მხოლოდ როგორც „კარგი“ ან „ცუდი“. ეს არის ძვირფასი ინსტრუმენტი პრობლემების გადაჭრისა და უნარების განვითარებისათვის. შეცდომების მიზეზების იდენტიფიკაციის ან სწორი არჩევანის გაკეთების უნარი თარგმნის დროს, ცნობილია როგორც „პროცესზე ორიენტირებული მიდგომა“. აღნიშნული მიდგომით, თარჯიმნებს შეუძლიათ უფრო ზუსტად გაიაზრონ რა დაეხმარათ ან რამ შეუშალათ ხელი მუშაობის პროცესში და მომავალში სათანადოდ გამოიყენონ მიღებული გამოცდილება.

საგანმანათლებლო ჟესტური ენის თარჯიმნის მუშაობის ორგანიზაციული საკითხები

თარჯიმნის დატვირთვა

საგანმანათლებლო თარჯიმნის დატვირთვა რომელიც მოიცავს როგორც უშულოდ თარგმნას, ასევე, სხვა მოვალეობებს, განსხვავდება სამუშაო გარემოს მიხედვით და მასზე გავლენას ახდენს ისეთი რიგი ფაქტორები, როგორიცაა:

- დაწესებულებაში ყრუ/სმენადაქვეითებული სტუდენტების რაოდენობა და განაწილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით;
- დასაქმების ტიპი (სრული ან ნახევარი განაკვეთი);
- თარჯიმნის განათლება, გამოცდილება, ცოდნა, უნარი და პიროვნული თვისებები;
- თარჯიმნების ხელმისაწვდომობა კონკრეტულ რეგიონში/რაიონში, არსებული ადგილობრივი რესურსი;

ამასთანავე, პროფესიულ განათლებაში ჩართული საგანმანათლებლო თარჯიმნის დატვირთვა ვარირებს საგანმანათლებლო პროცესის/ფორმატის მიხედვითაც; მაგალითად, თეორიული მოდულის/ლექციის შემთხვევაში, დატვირთვა შესაძლოა მეტი იყოს, ვიდრე პრაქტიკული მოდულის შემთხვევაში.

მნიშვნელოვანია, რომ დამსაქმებელს ესმოდეს ფიზიკური და ფსიქოლოგიური გადაღლის/გადაწვის რისკი და სამუშაოს შედეგად მიღებული სტრესი, კონკრეტული თარჯიმნის მომსახურების გადაჭარბებული გამოყენების გამო და შეძლებისდაგვარად სწორად გამოიყენოს თარჯიმნის რესურსი. სადაც ხელმისაწვდომია, დაიქირაოს მაქსიმალურად ოპტიმალური რაოდენობა თარჯიმნებისა, რომლებიც სასწავლო პროცესში მომსახურების გაწევისას ერთმანეთის ჩანაცვლებას შეძლებენ. იქ, სადაც თარჯიმნების მწირი რესურსია, თარჯიმნის სამუშაო დატვირთვა იმგვარად უნდა იყოს დაგეგმილი, რომ დასვენებების შესაძლებლობა ეძლეოდეს. აღნიშნული შესვენებების გარეშე, თარგმნის ხარისხი კლებულობს და ადგილი აქვს თარგმანთან დაკავშირებულ შეცდომებს.

ერთი სათარგმნი სიტუაციის ფარგლებში, საუკეთესო შემთხვევაში, თარჯიმნები იცვლებიან ყოველ 15-20 წუთში, რათა თავიდან აიცილონ დაღლილობით განპირობებული შეცდომები. 30 წუთზე ხანგრძლივი უწყვეტი თარგმნის პირობებში, ხშირად, თარგმანი კარგავს ხარისხს, რაც თარჯიმნის გადაღლით არის განპირობებული. ამასთანავე, როცა შესაძლებელია, დამხმარე თარჯიმანი მუშაობს კოლეგებთან ერთად და აკონტროლებს თარგმნის სიზუსტეს. დაწესებულებას ასევე უნდა გააჩნდეს გეგმა, თუ როგორ მოხდება არსებული თარჯიმნის ჩანაცვლება საჭიროების შემთხვევაში (მაგ.: როდესაც ავადმყოფობის გამო, თარჯიმანს უწევს სამსახურის გაცდენა).

თარჯიმნის მუშაობის მონიტორინგი

საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციას მოეთხოვება პერსონალის მუშაობის მონიტორინგი და სუპერვიზია, მათ შორის, დაწესებულებაში დასაქმებული ქესტური ენის თარჯიმნების. თუმცა, ქესტური ენის თარჯიმნის როლი და პასუხისმგებლობები ყოველთვის ნათელი არ არის ადმინისტრაციული გუნდისა და განათლების პერსონალისთვის. ამასთანავე, ქესტური ენის თარჯიმნის მომსახურების სპეციფიკის და იმის გათვალისწინებით, რომ სმენის მქონე პერსონალისთვის ქესტური ენა ხელმისაწვდომი არ არის, დაწესებულების ადმინისტრაციას შეიძლება გაუჭირდეს თარჯიმნის კომპეტენციების შეფასება. ასეთ შემთხვევაში, შეიძლება გარე ექსპერტებთან კონსულტაციების გავლა და მათი დახმარების გამოყენება. მიუხედავად ამისა, არის ზოგიერთი ზოგადი პროფესიული უნარი, რომელთა შეფასება და მხარდაჭერა შესაძლებელია ადმინისტრაციის მიერ:

- როგორც საგანმანათლებლო გუნდის წევრის ეფექტურობა, ინტერპერსონალური კომუნიკაციის უნარების ჩათვლით;
- პროფესიონალიზმი, მათ შორის სასწავლო პროცესისთვის მომზადება და საჭიროების შემთხვევაში, აკადემიური პერსონალისთვის მხარდაჭერის უზრუნველყოფა სასწავლო მიზნების/სწავლის შედეგების მისაღწევად;
- ჩაცმულობა, რომელიც შეესაბამება თარჯიმნის მოთხოვნებს სტუდენტის კომუნიკაციის ხელშესაწყობად და დაწესებულების პოლიტიკას;
- პატივისცემა ყველა სტუდენტის მიმართ, მათ შორის ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა ყველა სტუდენტისა და პერსონალის შესახებ;
- სტუდენტის საჭიროებების ადვოკატირების უნარი;
- რეგულარული დასწრება და საიმედოობა;
- მონაწილეობა მიმდინარე პროფესიულ განვითარებაში, რაც აძლიერებს თარჯიმნის კომპეტენციებს და ზრდის მის აკადემიური ცოდნას;
- აკადემიური გარემოს შესაფერისი ქცევა;
- პატივისცემა სტუდენტებისა და კოლეგების მიმართ;

დამატებითი შეკითხვები ქესტური ენის თარჯიმნის მომსახურებასთან დაკავშირებით

- ⇒ როგორ ემზადება ლექციისთვის და რა სახის თანამშრომლობა აქვს მასწავლებელთან
- ⇒ რა სახის თანამშრომლობა აქვს დაწესებულების სხვა სპეციალისტებთან
- ⇒ რა სახით მონაწილეობს სტუდენტის ისგ-ს შექმნასა და განხორციელებაში
- ⇒ უწყვეტად რამდენ საათიანი დატვირთვა აქვს (თარჯიმნის ხანგრძლივობა შესვენების გარეშე)

- ⇒ როდესაც სტუდენტმა სათანადოდ არ იცის ჟესტური ენა, რა ღონისძიებებს მიმართავს
- ⇒ როგორ იღებს ინფორმაციას, თუ რამდენად გაიგო ყრუ სტუდენტმა ლექცია/შინაარსი
- ⇒ ყრუ სტუდენტის ხელშეწყობ სხვა რა ღონისძიებებში, აქტივობებშია ჩართული დაწესებულებაში და მის მიღმა
- ⇒ რამდენი სტუდენტისთვის უწევს ერთი ლექციის ფარგლებში თარგმნა

გამოყენებული ლიტერატურა

- Australian Sign Language Interpreters' Association (ASLIA) (2018). Education Interpreting Policy.
- Brenda, Sc. (2007). EIPA Guidelines of Professional Conduct for Educational Interpreters. U.S. Department of Education. Office of Special Education Programs. Retrieved from: [Educational Interpreters - Classroom Interpreting](#).
- Educational Interpreters Tool-kit. Professional Standards Committee (1997-1999 REV4/00, Updated 2010). Registry of Interpreters for the Deaf (RID). Retrieved from: <https://rid.org/about-rid/about-interpreting/resources/for-educational-interpreters/>
- Borgna, G., Convertino, C., Marschark, M., Morrison, C., & Rizzolo, K. (2010). Enhancing deaf students' learning from sign language and text: Metacognition, modality, and the effectiveness of content. *Journal of Deaf Studies and Education*, 16 (1). 79-100 doi:10.1093/deafed/enq036. Retrieved from: <http://jdsde.oxfordjournals.org>
- Foster, S., Long, G., & Snell, K. (1999). Inclusive instruction and learning for deaf students in postsecondary education. *Journal of Deaf Studies and Deaf Education* 4(3), 225-235. doi: 10.1093/deafed/4.3.225
- Lang, H.G. (2002). Higher education for Deaf Students: Research priorities in the new millennium. *Journal of Deaf Studies and Deaf Education* 7(4), 267-280. Retrieved from <http://jdsde.oxfordjournals.org/content/7/4/267.full.pdf+html>
- Marschark, M., Sapere, P., & Convertino, C. (2008). Learning by direct and mediated instruction by deaf students. *Journal of Deaf Studies and Deaf Education*, 13(4), 546-561 doi:10.1093/deafed/emn014.
- Schick, B., Williams, K., Kupermintz, H. (2005). Look who's being left behind: Education interpreters and access to education for deaf and hard-of-hearing students. *Journal of Deaf Studies and Deaf Education*, 11(1) 3-20. doi: 10.1093/deafed/enj007. Retrieved from <http://jdsde.oxfordjournals.org>

დანართი N1 სარეფლექსიო საკითხები სასწავლო პროცესის ქესტურენოვანი თარგმნისთვის

N	საკითხი
1.	თარჯიმნის ვიზუალური მხარე/ჩაცმულობა -რამდენად შესაფერისია თარჯიმნის ჩაცმულობა მისი საქმიანობისთვის განსაზღვრულ ჩაცმულობასთან (მუქი ფერის კლასიკური ტანსაცმელი, ზედმეტი სამკაულის გარეშე, მსუბუქი მაკიაჟი)
2.	თარჯიმნის, სტუდენტის და მასწავლებლის ურთიერთგანთავსება - რამდენად შესაბამისია თარჯიმნის, მასწავლებლის და სტუდენტის/სტუდენტების ურთიერთგანთავსება და რამდენად აძლევს აღნიშნული განთავსება სტუდენტს როგორც თარჯიმნის, ასევე მასწავლებლის/მასწავლებლის მოქმედებების/სხვა სტუდენტების დანახვის შესაძლებლობას (თუ ჯგუფში რამდენიმე ყრუ სტუდენტი, თითოეულთან მიმართებით რამდენად სწორია განთავსება)
3.	თანმიმდევრობის დაცვა - რამდენად ეძლევა სტუდენტს როგორც თარჯიმნის ყურების, ასევე, მასწავლებლის მოქმედებებისთვის, ეკრანისთვის, დაფისთვის, სხვა სტუდენტების მოქმედებებისთვის თვალის მიდევნების შესაძლებლობა
4.	თარგმნის ტემპი/სისწრაფე - რამდენად შესაბამისია თარგმნის ტემპი და რამდენად უწყობს ხელს მნიშვნელობის/შინაარსის გადაცემას
5.	სახის გამომეტყველება/მიმიკის გამოყენება - რამდენად შესაბამისია თარჯიმნის სახის გამომეტყველება შინაარსისა და რამდენად გამოხატავს ტექსტის/შინაარსის ხასიათს
6.	სხეულის მოძრაობა - რამდენად იძლევა თარჯიმნის სხეულის მოძრაობა ნათელ სურათს შინაარსთან დაკავშირებულ ასპექტებზე
7.	ქესტის სივრცე -რამდენად აკურატულად გამოხატავს ქესტისთვის გამოყენებული სივრცე შინაარსს - არც ძალიან მცირე და არც ძალიან დიდი, რამდენად ლოგიკური და შესაბამისია გამოყენებული სივრცე
8.	ქესტების მოძრაობა/ხელების და თითების მოძრაობა - რამდენად მოქნილი, თანმიმდევრული, გამოკვეთილი, უწყვეტია ქესტების გამოხატვა და რამდენად იძლევა შინაარსის სრულფასოვნად ვიზუალიზაციის შესაძლებლობას
9.	დაქტილის გამოყენება - რამდენად ნათლად, შესაბამისად, გასაგებად და აკურატულად ხდება დაქტილის გამოყენება
10.	ვიზუალური გრამატიკა - რამდენად სათანადოდ არის გამოყენებული გრამატიკა - არტიკულაცია, პრონომინალიზაცია (წინადადების ისეთი წევრების, როგორიცაა სუბიექტი, პირდაპირი ობიექტი და ირიბი ობიექტი, წარმატებით გამოყენება), უარყოფის გამოყენება, მინიშნება ადამიანზე, ადგილზე, მოქმედებაზე და სხვა.
11.	ქესტების მიმართულება - რამდენად სწორი და შესაბამისია ქესტების მოძრაობის მიმართულება და რამდენად იძლევა მიმართულება შინაარსის შესახებ აკურატულ ინფორმაციას
12.	თარგმნის პირი - რამდენად სწორ პირში მიმდინარეობს თარგმანი (მაგ.: პირველ პირში თარგმნა)
13.	ინფორმაციის სრულად თარგმნა/მიწოდება - რამდენად სრულად ხდება სასწავლო პროცესში არსებული ინფორმაციის თარგმნა, როგორც ძირითადი, ასევე სხვა შინაარსების (მაგ.: სტუდენტების შეკითხვების და პასუხების, მასწავლებლის რეპლიკების და სხვა)
14.	შეტყობინების სიზუსტით გადაცემა - რამდენად შეესაბამება თარგმანი შინაარსის სპეციფიკას, შინაარსის სულისკვეთებას
15.	ქესტების მორგება სტუდენტის ენობრივ/სხვა შესაძლებლობებზე - რამდენად მორგებულია ქესტურენოვანი თარგმანი სტუდენტის ენობრივ და სხვა შესაძლებლობებზე; იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფში რამდენიმე ყრუ სტუდენტისთვის ხდება თარგმნა, რამდენად მორგებულია თარგმანი თითოეული სტუდენტის შესაძლებლობაზე

16.	საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში მოქმედება - რამდენად იცავს თარჯიმანი საკუთარი კომპეტენციების ფარგლებს და არ იჭრება მასწავლებლის კომპეტენციაში (მაგ. უთარგმნის სტუდენტის ყველა კითხვას მასწავლებელს და პირიქით, არ სცემს პასუხს ან არ იძლევა განმარტებას მასწავლებლის ნაცვლად)
17.	ლექციისთვის მომზადებულობა/პროფესიული ლექსიკის/ტერმინოლოგიის ფლობა - რამდენად არის გამოყენებული ლექციის/სასწავლო პროცესის თემატიკის/ტერმინოლოგიის შესაბამისი ქესტები და რამდენად ჩანს თარჯიმნის მომზადებულობა კონკრეტული თემისთვის/ლექციისთვის
18.	ქართული ქესტური ენის ფლობა - რამდენად სრულფასოვნად ფლობს თარჯიმანი ქართულ ქესტურ ენას და სათანადოდ იყენებს სასაუბრო ენის შესაბამის ქესტებს
19.	სტუდენტისთვის შესვენების შესაძლებლობის მიცემა - რამდენად ეძლევა ყრუ სტუდენტს დასვენების შესაძლებლობა ასეთი საჭიროების შემთხვევაში
20.	სტუდენტის ჩართულობა - რამდენად უწყობს თარგმნის პროცესი ხელს ყრუ სტუდენტს გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები, გასცეს პასუხები

დანართი N2 აქტივობები თარჯიმნის პროფესიული უნარ-ჩვევების გასავითარებლად

შემდეგი აქტივობები შეიძლება დაეხმაროს თარჯიმანს ინფორმაციის დამუშავების შემადგენელი უნარების გაუმჯობესებაში:

- სალაპარაკო ტექსტის მოსმენა და გაანალიზება: კონცენტრირდით აზრის გაგებაზე. მოსმენისას გააკეთეთ ძირითადი იდეების და მათი ურთიერთობების წერილობითი ჩანაწერი. დაიწყეთ ტექსტის რამდენჯერმე მოსმენით და შეამცირეთ მოსმენის რაოდენობა;
- პერიფრაზირება: მოუსმინეთ და გააკეთეთ მოკლე გზავნილების პერიფრაზირება ერთ და შემდეგ მეორე ენაზე. გაითვალისწინეთ, რომ ერთ ენაზე პერიფრაზირება უნარს არსებითი მნიშვნელობა აქვს წარმატებული თარჯიმნობისთვის.
- ლუბლირება: გაიმეორეთ ზეპირი ან ქესტური გზავნილი ზუსტად, თითქმის მაშინვე მოსაუბრის შემდეგ. თანდათან გაზარდეთ მანძილი მიღებულ გზავნილსა და თქვენს თარგმანს შორის;
- გახსენება: გაავარჯიშეთ ხანმოკლე მეხსიერება. მოუსმინეთ და მყისვე გაიხსენეთ ციფრები, თარიღები, სახელები, სიტყვები სხვადასხვა კატეგორიიდან/თემიდან. ეცადეთ გაზარდოთ ინტერვალები ინფორმაციის მოსმენიდან/დანახვიდან მის აღდგენამდე;
- ორი აქტივობის ერთდროულად შესრულება და ფილტრაცია: შეაჯერეთ ენობრივი ამოცანა სხვა სენსორულ ამოცანასთან, როგორცაა კონცენტრირება აუდიო გზავნილის გაგებაზე როცა იმავდროულად უყურებთ უხმო, მაგრამ მოძრავ სატელევიზიო სცენას, ან ქესტური ენის გზავნილზე კონცენტრირება მუსიკის ან საუბრის ფონზე;

- წინასწარ განსაზღვრა: საუბრის სათაურზე, ინტერაქციის წინარე კონტექსტზე დაყრდნობით, ჩამოწერეთ შესაძლო თემების, ტერმინების, ახალი იდეების და საკომუნიკაციო საკითხების სია, რაც შეიძლება თარგმნისას წამოიჭრას;
- აზრის დასრულება: ივარჯიშეთ წინადადებების დასრულებაში რომლებსაც აკლია დაბოლოება, ივარჯიშეთ დაუმთავრებელი მოკლე პასაჟების დასრულებაში (ვერბალურად ან წერილობითი ფორმით) ენის სტრუქტურების თქვენეულ ცოდნასა და კონტექსტზე დაყრდნობით;

მოუსმინეთ თქვენს ირგვლივ ხალხს, იკითხეთ ყველაფერი, მათ შორის, მედია და ყრუ თემის გამოცემები: როდესაც ახალ ინფორმაციას ან იდეებს მოისმენთ, შეეცადეთ მენტალურად დააკავშიროთ იმასთან, რაც იცით ან განგიცდიათ. ააგეთ თქვენი მემსიერების ლინგვისტური და კულტურული ცოდნის ბანკი ახალი ინფორმაციის და გამოცდილებების შესათვისებლად ორივე ენაზე.